



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თინათინ მჭავანაძე

ფინანსური ტექნოლოგიები და ინოვაციები მცირე და საშუალო
ბიზნესის დაკრედიტებაში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თამარ გამსახურდია

თბილისი 2020

ანოტაცია

ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია წარმოების განვითარება, მეტი პროდუქტის შექმნა, სამუშაო ადგილების გაზრდა. შესაბამისად აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. მათთვის ყველაზე დიდ პრობლემას ფინანსური რესურსის მოზიდვა წარმოადგენს. შესაბამისად, საჭიროა ხელშეწყობა ქვეყნის თუ ფინანსური სექტორის მხრიდან.

კომერციულ ბანკებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემის მოგვარებაში. დაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული გზა სწორედ საბანკო კრედიტებია. თუმცა საკმაოდ რთულია მსხვილი ბიზნესის მხრიდან არსებული კონკურენცია. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა ფინანსური ტექნოლოგიების როლიც, რომელიც კიდევ უფრო უმარტივებს მომხმარებელს ცხოვრებას. მათი დახმარებით მცირე და საშუალო საწარმოების კრედიტუნარიანობა შეიძლება სულ რაღაც ხუთ წუთში შეფასდეს და ანგარიშზე სასურველი თანხა მიიღონ. ფინტექის შესაძლებლობების ათვისება თანდათან ერთ-ერთი პრიორიტეტი ხდება საქართველოში არსებული ფინანსური სექტორისთვისაც.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნა-რეკომენდაციებისაგან. პირველ თავში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის ტრადიციული დაკრედიტების გზები, ასევე ფინანსური ტექნოლოგიების როლი და პანდემიის პერიოდში არსებული გამოწვევები საზღვარგარეთ. რაც შეეხება ნაშრომის მეორე თავს, აქ საუბარია საქართველოში არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე, და კომერციული ბანკების შეთავაზებებზე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მესამე თავი კი საქართველოში ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითებს და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში მის როლს ეთმობა.

Annotation

„Financial technologies and innovations in SME lending“

Tinatin Mzhavanadze

To improve the economic situation, it is important for any country to develop business, create more products and increase jobs. Therefore, it is necessary to promote small and medium businesses. The biggest problem for them is attracting financial resources. Because of this, SME need to have support from the country or from the financial sector.

Commercial banks can make a significant contribution to solve this financial problem of the small and medium businesses. One of the most common ways of financing is bank loans. However, it is quite difficult to compete with big business. That is why the government should have small and medium business promotion programs.

Recently it is obvious that the role of financial technologies has been increased. Fintech helps consumer to have easier lives. With their help, the creditworthiness of small and medium enterprises can be assessed in just five minutes and get the desired amount on the account. Fintech industry is becoming one of the priorities for the financial sector in Georgia.

The research consists of an introduction, three chapters and a conclusion-recommendation. The first chapter discusses the ways of traditional lending to small and medium-sized businesses, as well as the role of financial technologies and the challenges posed by the pandemic abroad. In the second chapter of the research, we are talking about the government programs in Georgia, and the offers of commercial banks for small and medium businesses. The third chapter focuses on examples of the use of financial technologies in Georgia and its role in lending to small and medium-sized businesses.

შინაარსი (სარჩევი)

ანოტაცია

Annotation

შესავალი.....	5
თავი I. მცირე და საშუალო ბიზნესი და კომერციული ბანკები საერთაშორისო გამოცდილება	8
1.1. კომერციული ბანკებისა და მცირე ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო პრაქტიკა	8
1.2. ფინანსური ტექნოლოგიები და მცირე ბიზნესის ინოვაციური დაკრედიტების საერთაშორისო გამოცდილება	14
1.3. პანდემიის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე.....	25
თავი II. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და დაფინანსების გზები საქართველოში	35
2.1. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები.....	35
2.2. კომერციული ბანკების როლი მცირე ბიზნესის ფულადი რესურსით უზრუნველყოფაში	41
თავი III. საქართველოს ფინტექ ინდუსტრია და მისი შესაძლებლობანი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით.....	48
3.1. ფინანსური ტექნოლოგიები საქართველოში და მათი განვითარების შესაძლებლობანი.....	48
3.2. მცირე და საშუალო ბიზნესი დაკრედიტება ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებით და განვითარების პერსპექტივები.....	55
დასკვნები და რეკომენდაციები.....	64
გამოყენებული ლიტერატურა.....	70

შესავალი

კვლევის აქტუალობის დასაბუთება. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესია. იგი ხელს უწყობს პროდუქტისა და მომსახურების მრავალფეროვნებას, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, სამუშაო ადგილების შექმნას, მთლიანად ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას.

მცირე და საშუალო საწარმოთა ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ფინანსურ რესურსის მოპოვება წარმოადგენს. ამ მხრივ კი შესაძლებელია გატარდეს სხვადასხვა პოლიტიკა, ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოს ხელშეწყობის პროგრამები, გრანტები, კომერციული ბანკების მხრიდან სპეციალური, საშეღავათო პირობები კრედიტზე, ან ფინანსური ტექნოლოგიების ათვისების გაზრდა. ინვესტიციების რაოდენობის მიხედვით, ფინტექი ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად მზარდ სექტორს წარმოადგენს, მსოფლიოში განხორციელებული ინვესტიციებიც ამ ინდუსტრიაში სულ უფრო და უფრო იზრდება. თუმცა მისი შესაძლებლობების სრულად გამოყენება ჯერ არ ხდება, მაგრამ მსოფლიო მოსახლეობის 90%-ზე მეტი იყენებს სულ მცირე გადარიცხვისა და გადახდების ონლაინ პლატფორმებს მაინც იყენებს. მსოფლიოში ფინტექის ათვისების მაჩვენებელი მცირე და საშუალო ბიზნესში არც ისე მაღალია და 25%-ს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არსებობს მრავალი გამოწვევა და ზრდის შესაძლებლობა ამ მიმართულებით. საქართველო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რიცხვშია და აქაც სრულად არ არის გააზრებული და გამოყენებული ფინანსური ტექნოლოგიების შესაძლებლობები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების („თი ბოტი“), მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობის ხუთ წუთში ონლაინ შეაფასების პლატფორმის („ქუიქქემ“), Open API-ს დანერგვის წარმატებული მაგალითები. აღნიშნული კი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. დაფინანსების ინოვაციური მეთოდების შემოტანა წაახალიდებს მცირე და საშუალო ბიზნეს მეწარმეებს და გააუმჯობესებს მთლიანად ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია მცირე და საშუალო საწარმოები, ასევე ფინანსური ტექნოლოგიები საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში და კომერციული ბანკები. შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ხელშეწყობის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის ტრადიციული (სახელმწიფო პროგრამები, კრედიტები, გრანტები) და ინოვაციური (ფინანსური ტექნოლოგიები) მეთოდების განხილვა-გაანალიზება, პრობლემების გამოვლენა ფინანსებით უზრუნველყოფის კუთხით და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები: ფინანსური რესურსების მოძიების სირთულის განხილვა საზღვარგარეთის მაგალითზე, კომერციული ბანკებისა და ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესის დასაკრედიტებლად. ასევე, საქართველოში არსებული კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის შესწავლა სეგმენტების ჭრილში, სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამების განხილვა, ფინტექის საწყისების გამოვლენა და მათი გამოყენებით მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების შესაძლებლობების ანალიზი. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე კი შევეცადეთ გამოგვევლინა ის სირთულები, რაც მცირე და საშუალო მეწარმეებს ფინანსური რესურსის მოძიების კუთხით აქვთ.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომი ძირითადად დაფუძნებულია თვისობრივ კვლევაზე, მსოფლიო ბანკის, საქართველოს ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს მასალების საფუძველზე. თვისობრივი კვლევის ჩასატარებლად მოვახდინეთ მონაცემების ორგანიზება, აღრიცხვა და მათი ახსნა. კერძოდ, მეორადი მონაცემთა ანალიზის დახმარებით განვიხილეთ როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოთა დაფინანსების მეთოდები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები.

კვლევის სიახლეები. კვლევაში გამოყენებულია ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, წიგნები. ასევე ოფიციალური მონაცემები ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროპის საბანკო ფედერაციის ვებ-გვერდებიდან; ასევე საქართველოს ეროვნული ბანკისა და ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის მონაცემები; უცხოელ მკვლევართა პუბლიკაციები, საკონფერენციო მასალები და ა.შ. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით კი გამოიკვეთა პრობლემები, მიმდინარე ტენდენციები და შემუშავდა რეკომენდაციები.

თავი I. კომერციული ბანკები და მცირე ბიზნესი საერთაშორისო გამოცდილება

1.1 კომერციული ბანკებისა და მცირე ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო პრაქტიკა


თანამედროვე საზოგადოებაში კომერციული ბანკების ოპერაციები საკმაოდ მრავალფეროვანია. მათი მნიშვნელობა არ გამოიხატება მხოლოდ ფულის მიმოქცევის ორგანიზებაში. მათი საშუალებით ხდება საკონსულტაციო მომსახურება, ეკონომიკისა და სხვადასხვა სუბიექტების დაკრედიტება, სადაზღვევო მომსახურება, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა და ა.შ.

ევროპის ქვეყნებში მცირე საწარმოებად იწოდება საწარმო, რომლის თანამშრომლებიც 10-50 ადამიანია, ხოლო მათი ბრუნვა 10 მილიონ ევროს არ აღემატება, ხოლო საშუალო ბიზნესად იწოდება იმ შემთხვევაში, თუ აქ დასაქმებულია 50-250 თანამშრომელი და ბრუნვა არის 50 მილიონ ევროზე მეტი.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მხრივ პრობლემები არსებობს ევროპის ქვეყნების წინაშეც. 2017 წელს ევროპაში ჩატარდა კვლევები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ევროპის ქვეყნებში მცირე ფირმებიდან 9%-სათვის, უმთავრესი პრობლემა ფინანსური რესურსის მოპოვება იყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი თანდათან გაუმჯობესებულია, რადგან 2009 წელს ის 17%-ს შეადგენდა. [European Banking Federation, p.8-9]

თუ შევადარებთ მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობას მსხვილ ბიზნეს სუბიექტებთან შედარებით, ვნახავთ, რომ მცირე საწარმოებს გაცილებით მეტი პრობლემა აქვთ. (იხილეთ დიაგრამა 1.1.1 პრობლემები მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნეს საწარმოებში)

დიაგრამა 1.1.1 პრობლემები მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნეს საწარმოებში




წყარო: EY, SME Annual Report, 2019

ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ მცირე ბიზნესის ფინანსების მოპოვების ყველაზე გავრცელებული წყაროა საკრედიტო ხაზი, თუმცა მცირე საწარმოები არ მიმართავენ დაფინანსების მხოლოდ ერთ ხერხს. საკრედიტო ხაზის შემდეგ მოდის საბანკო სესხები 49%-ით, ლიზინგი 45%-ით და გრანტები. [ევროპის ცენტრალური ბანკი, 2018].

ევროპის ქვეყნებში ყველაზე დიდი შუამავალი კომერციული ბანკია, სწორედ ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია ბანკების მხრიდანაც ჰქონდეთ ხელშეწყობა. თუმცა, პრობლემები არსებობს ამ მიმართულებითაც. მთავარი მიზეზი, რის გამოც მცირე და საშუალო ბიზნესები კომერციულ ბანკებს არ მიმართავენ ფინანსების მისაღებად, არის მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ასევე, მცირე საწარმოებისთვის საკმაოდ კონკურენტულია მსხვილი ფირმები, რომლებსაც ასევე ურთ ფინანსური წყაროს მოძიება. საბერძნეთში კი კიდევ ერთი პრობლემაა გამოკვეთილი - ბანკები უარს ეუბნებიან მცირე და საშუალო საწარმოებს სესხების დამტკიცებაზე, ანუ რიგ ქვეყნებში სესხზე უარის თქმის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია.

თუ განვიხილავთ საბანკო სესხის მსურველთა განაცხადებს, რომლებიც დამტკიცდა, ვნახავთ, რომ ვითარება განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. (იხილეთ დიაგრამა 1.1.2, მცირე ბიზნესისთვის დამტკიცებული სასესხო განაცხადები) :
 დიაგრამა 1.1.2 მცირე ბიზნესისთვის დამტკიცებული სასესხო განაცხადები



წყარო: ევროპის ცენტრალური ბანკი, 2018


მცირე ბიზნესის მხრიდან სესხის ასაღებად გაკეთებული განაცხადებიდან 83% დამტკიცდა ჩეხეთში, რაც სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი საბერძნეთშია, სადაც მხოლოდ 28%-ს შეადგენს მცირე ბიზნესისთვის დამტკიცებული სასესხო განაცხადების რაოდენობა. შესაბამისად მცირე ბიზნეს კომპანიები ხშირად იღებენ უარს ბანკებისგან.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით ევროპაში არსებობს სპეციალური კომისია. იგი სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად ეხმარება ბიზნესებს მოიპოვონ სახსრები. სახსრების მოზიდვაში დიდი როლი შეიძლება ჰქონდეს ევროპის საინვესტიციო ბანკსაც, სადაც შუამავლის როლს ძირითადად კომერციული ბანკები ასრულებენ.

დიდია კონკურენცია მსხვილი ბიზნეს სუბიექტების მხრიდანაც. ევროპაში არსებული მსხვილი საწარმოებისთვის სესხზე გაკეთებული განაცხადებიდან საშუალოდ 83% მტკიცდება. მაშინ როცა მცირე საწარმოებში ეს მაჩვენებელი 70%-მდეა. გარდა ამისა, მცირე და საშუალო კომპანიები სესხებს უფრო მაღალ პროცენტში იღებენ.

ბიზნეს სუბიექტებს ფინანსური რესურსის მოძიება ერთდროულად რამდენიმე ბანკისგან შეუძლიათ. (იხილეთ დიაგრამა 1.1.3, ბანკების რაოდენობა, რომელთანაც ევროპის ფირმები აქტიურად საქმიანობენ):

დიაგრამა 1.1.3 ბანკების რაოდენობა, რომელთანაც ევროპის ფირმები აქტიურად საქმიანობენ




წყარო: ევროპის ცენტრალური ბანკი, 2019

შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მცირეა ბიზნესი, მით უფრო რთულდება ფინანსური რესურსის მოსაპოვებლად კომერციული ბანკის მოძებნა. მაგალითად, მსხვილი ბიზნესის შემთხვევაში, მათი 51% მინიმუმ 5 და მეტ ბანკთან თანამშრომლობს, უმარტივედება სახსრების მოძიება, მაშინ როცა მიკრო ბიზნეს კომპანიები ძირითადად მხოლოდ ერთი კომერციული ბანკისგან იღებენ თანხმობას სესხის დამტკიცებაზე.

მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების მფლობელები ხშირად ცდილობენ საკუთარი სახსრებით, მეგობრებისგან, ან ოჯახის წევრებისგან მიიღონ დაფინანსება. (იხილეთ დიაგრამა 1.1.4, რატომ ამბობენ უარს მცირე და საშუალო კომპანიები დაფინანსების მოძიებაზე):

დიაგრამა 1.1.4 რატომ ამბობენ უარს მცირე და საშუალო კომპანიები დაფინანსების მოძიებაზე



წყარო: Hwang, Desai and Baird, 2019

გრაფიკიდან აშკარად ჩანს, რომ მსოფლიოს წინაშე დგას მცირე ბიზნესის მხრიდან სახსრების მოპოვების პრობლემა. ისინი ცდილობენ საკუთარი ფინანსებით გაართვან თავი არსებობას, რადგან ინვესტორის მოძიება საკმაოდ ურთულდებათ, ეს დიდი დროსთან არის დაკავშირებული. სესხის აღების შემთხვევაში მაღალი პროცენტის გადახდა უწევთ.

ირლანდია ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა სტარტაპების ხელშეწყობის კუთხით. ამ ქვეყანაში არსებობს მსოფლიო დონის ბიზნეს ჰაბები და აქსელერატორები ფინტექის, მედტექის, ბიოტექის, ICT-ის კუთხით. ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო ინვესტიციების მოძიების კუთხით მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად. ასევე ხდება ადამიანური კაპიტალის მოძიება და ჩართვა ინოვაციებში. სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით კი ქვეყანამ 2018 წელს 800 მილიონი ევრო გამოყო.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავეა ისრაელიც. სწორედ ამ ქვეყანაშია ყველაზე მეტი სტარტაპი ერთ სულ მოსახლეზე. [Korbert, 2018, p.75] სტარტაპებიდან მირებული წლიური მოგება კი 6.47 მილიარდი დოლარი იყო 2018 წლის მონაცემებით. თელავავი ერთ-ერთი მოწინავეა ხელოვნური ინტელექტის განვითარების კუთხითაც.

დიდ ბრიტანეთში მცირედ იწოდება საწარმოები, სადაც დასაქმებულია 10-49 ადამიანი და ამავდროულად მათი წლიური ბრუნვა არის £2000000-£5000000. ინგლისში მცირე და საშუალო საწარმოთა მნიშვნელობა დიდია, სწორედ ამ საწარმოებშია დასაქმებული კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანთა 60%. 2018 წლის მონაცემებით ამ მიმართულებით დაახლოებით 16.2 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული. [EY, The Future of SME Banking, 2018, p.2-4]. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ დიდ ბრიტანეთშია მსოფლიოში სიდიდით მესამე ტექ ჰაბი. ევროპაში კი ის ლიდერია. გარდა ამისა იგი წამყვანია ფინანსების მოძიების ხელშეწყობის მხრივაც, ქვეყანაში შეიქმნა „crowdfunding“-ის ასოციაცია, რომელიც აკავშირებს იმ ხალხს, ვისაც ფინანსური რესურსი გააჩნია, მათთან ვისაც სტარტაპის წამოწყება სურთ.

აშშ-შიც, აქტიურად უწყობენ ხელს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებას. აქ საკმაოდ ხშირია განსაკუთრებული პირობების შეთავაზება კომერციული ბანკების მხრიდან, მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს “Wells

Fargo”, რომელიც საუკეთესოდ მიიჩნევა მცირე ბიზნეს სესხების გაცემის კუთხით, სესხები განსაკუთრებულად დაბალი განაკვეთით.

“Wells Fargo” საქმიანობს არა მარტო აშშ-ში, არამედ მის საზღვრებსაც სცდება. იგი განსაკუთრებულად ცდილობს ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესს. ასევე სთავაზობენ კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს, რათა საკუთარი ბიზნესი უფრო წარმატებული გახადონ. “Wells Fargo” მცირე ბიზნესზე გასცემს მოკლევადიან ესბიეი (SBA) სესხებს. მოკლევადიანი სესხები 18 თვიანი ვადით გაიცემა და ძირითადად შეიძლება ემსახურებოდეს ფულადი ნაკადის შევსებას, როცა ბიზნესს მოულოდნელად უჩნდება სახსრების საჭიროება. მცირე ბიზნესის დასახმარებლად “Wells Fargo”-ს სესხი \$10000-\$100000 თანხის ოდენობით გაიცემა. მათი საწყისი საპროცენტო განაკვეთია 6.75% და დაფარვის ვადა 2-6 წელი. სესხის გაცემა ძალიან მარტივად და სწრაფად. [<https://www.wellsfargo.com>]

ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაკვირვებით, უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო და მცირე ბიზნესის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი წილი საბანკო სექტორს უჭირავს. ამ კომპანიების მოძიებული ფინანსური სახსრების თითქმის ნახევარი სწორედ კომერციული ბანკებისგან მიღებულ კრედიტებზე მოდის. ევროპის ქვეყნებში თანდათან უმჯობესდება მდგომარეობა სესხების დამტკიცებასთან დაკავშირებით მცირე და საშუალო საწარმოებში.

მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს უჭირთ რამდენიმე ბანკთან თანამშრომლობის დამყარება, მაშინ როცა მსხვილი ბიზნეს კომპანიები ერთდროულად 5 და მეტი კომერციული ბანკისგან იღებს ფინანსურ სახსრებს, სესხებს. დიდ კომპანიებს ძირითადად არასდროს ეუბნებიან უარს სესხის მიღებაზე, რასაც ვერ ვიტყვით მცირე ბიზნესზე. გარდა ამისა, მსხვილ კომპანიებთან შედარებით მათი სასესხო საპროცენტო განაკვეთიც მაღალია. მსხვილი კომპანიების კონკურენცია მცირე საწარმოებისთვის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება.

არსებობს ქვეყნები, სადაც მკვეთრი ნაბიჯებია გადადგმული მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით, მაგალითად ჩეხეთში საკმაოდ მარტივად შეიძლება სესხის აღება. ასევე ბანკები სპეციალურ პირობებს სთავაზობენ მცირე კომპანიებს აშშ-შიც. ირლანდია, ისრაელი, დიდი ბრიტანეთიც მოწინავე ქვეყნები არიან სტარტაპების

ხელშეწყობის მიმართულებით. მაგრამ მეორე მხრივ, არსებობენ ქვეყნები, სადაც მცირე კომპანიებს სასესხო განაცხადები იშვიათად უმტკიცდებათ.

1.2 ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების და მცირე ბიზნესის ინოვაციური დაკრედიტების საერთაშორისო გამოცდილება

კომპანიებმა ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად აუცილებელია მიიღონ ინოვაციური გადაწყვეტილებები და გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები. მსოფლიოში სწორედ ინოვაციურობა წარმოადგენს წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ფინანსურ სექტორზეც. ის კომპანიები, რომლებიც უახლეს, თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ, უფრო ეფექტურ პროდუქტსა თუ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს.

ფინანსური ტექნოლოგიები ანუ ფინტექი გულისხმობს ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელის ათვისებას საფინანსო მომსახურების სფეროში. ფინტექი თავის თავში აერთიანებს ფინანსურ სერვისებსა და გადაწყვეტებს, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებზეა დამყარებული. ფინტექი გამოირჩევა შემდეგი თვისებებით: არის ტექნოლოგიური ინოვაცია, ხასიათდება მოქნილობით სიმარტივით, სისწრაფით, კომფორტულობით, რაც ხელს უწყობს ფინანსური მომსახურებისა და პროდუქტების ზრდა-განვითარებაზე; მისი დახმარებით ოფისიდან გაუსვლელად შეიძლება ფინანსურ რესურსებზე წვდომა თუ მათი მართვა. [(მედეა ჭილაძე , მარინე თოფჩიშვილი. 2018. 246)]

ფინტექის ძირითადი ბენეფიციარები მიკრო, მცირე, საშუალო ზომის ორგანიზაციები არიან. ძირითადად ესენი არიან ფინტექ სტარტაპები, რომლებსაც არ აქვთ დიდი კაპიტალი, მაგრამ აქვთ მკაფიო ხედვა თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ არსებული სერვისები ფინანსური მომსახურების ბაზარზე.

არსებობს ფინტექ ფორმების დაარსების ორი მთავარი მიზეზი: პირველი არის 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელმაც მკაფიოდ აჩვენა ტრადიციული საბანკო სისტემის ნაკლოვანებები; მეორე მიზეზია ახალი, თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოჩენა ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ბაზარზე მობილობას. [Saksonova S., Kuzmina-Merlino I. 2017. 962]

ამკარაა რომ მცირე და საშუალო კომპანიები საკმაოდ დიდ წინააღმდეგობებს აწყდებიან ფინანსური სახსრების მოძიების კუთხით, კრედიტის აღება საკმაოდ რთული პროცესია. ამ პრობლემის გადასაჭრელად მკვეთრი ნაბიჯი იქნა გადადგმული, როდესაც საბანკო სფეროში გამოიყენეს ახალი ფინანსური ტექნოლოგია - P2P lending. ფინტექის სტარტაპები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ბანკების ალტერნატივად ფინანსური მომსახურების კუთხით.

P2P დაკრედიტების საშუალებით ვებსაიტზე მსესხებელი უკავშირდება უშუალოდ ინვესტორს, ფინანსური შუამავლის გარეშე. P2P გამსასხებლები არიან ინდივიდუალური ინვესტორები, რომლებსაც სურთ მიიღონ უკეთესი შემოსავალი, ვიდრე მათ სთავაზობს საბანკო საშემნახველო ანგარიშები (ანაბრები). P2P მსესხებლებს კი აქვთ საშუალება მიიღონ თანხა იმაზე დაბალი პროცენტით, ვიდრე მათ ბანკი შესთავაზებდა.

ონლაინ განცხადების შევსების შედეგად, დამატებითი დოკუმენტაციის მიწოდების გარეშე შესაძლებელია P2P გარიგების დადება. ვებ-გვერდზე ხდება განაკვეთისა და ვადების დადგენა და გარიგების დადება. საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია განმცხადებლის სანდოობაზე. ამისათვის, პირველ რიგში, ინვესტორი ხსნის ანაბარს საიტის დახმარებით, სადაც განათავსებს თანხას, რომლის გასესხებასაც აპირებს. მსესხებელს ენიჭება გარკვეული რისკის კატეგორია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი. თანხას მსესხებელი იღებს ონლაინ პლატფორმის საშუალებით და აქვე ხდება ყოველთვიური შენატანების დაფარვაც.

ასევე უნდა აღინიშნოს P2P payment, რომელმაც დიდი ცვლილება შეიტანა გადახდებში და მომხმარებელს შეუქმნა კომფორტი ნებისმიერ დროს და ადგილზე, ძალიან მარტივად გადარიცხონ თანხა. მაგალითად მეგობართან გვსურს თანხის გადარიცხვა, ამისთვის ძალიან მარტივად შეგვიძლია გამოვიყენოთ აპლიკაცია და მხოლოდ მისი მობილურის ნომრის მითითებით გავუგზავნოთ სასურველი თანხა.

მობილური საფულე - ვირტუალური საფულე, რომელიც მობილურ მოწყობილობაში ინახავს გადახდის ბარათის ინფორმაციას. მობილური საფულე

მომხმარებლისთვის ძალიან მოსახერხებელია, მისი საშუალებით ბარათის გარეშე არის შესაძლებელი ნებისმიერ ადგილზე გადახდა. მისი გამოყენებით მცირდება ნაღდი ფულის გამოყენება. ეს კი ხელს უწყობს იმას რომ ბიზნესისა და მომხმარებლის ურთიერთობა გახდეს ციფრული. ბიზნესი ცდილობს მოერგოს მომხმარებლის საჭიროებებს და გაამარტივოს ურთიერთობები ტექნოლოგიების გამოყენებით.

კრიპტოვალუტა - ეს არის ელექტრონული ფულის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ასევე გამოიყენება ფინანსურ ოპერაციებში. იგი არის ინტერნეტზე დაფუძნებული გაცვლითი საშუალება, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ ფუნქციებს ფინანსური გარიგების შესასრულებლად. ბევრი კომერციული და ცენტრალური ბანკი იკვლევს საკუთარი კრიპტოვალუტების ბლოკჩეინის სისტემაში შესვლის შესაძლებლობას. ბიტკოინის წარმატების გამო, ბანკებს შეუძლიათ დაინახონ სარგებელი, სტაბილური და უსაფრთხო კრიპტოვალუტის ფლობით. კრიპტოვალუტის მენეჯმენტი (განკარგვა) უფრო მარტივი და იაფია. მაგალითად, JPMorgan- მა გამოუშვა ახალი კრიპტოვალუტა, რომელსაც JPM Coin ეწოდება. იგი მიზნად ისახავს კლიენტებს შორის დაუყოვნებლივ გადახდებს დაბალ ფასად, უსაფრთხოდ და ეფექტურად. რაც უფრო მეტი ბანკი აგრძელებს კრიპტოვალუტის ვარიანტების კვლევას, მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ ნაკლები დახარჯონ საბანკო ოპერაციებზე. კრიპტოვალუტის ასევე აადვილებს საბანკო ანგარიშების გარეშე ადამიანებს ჰქონდეთ ფინანსურ სერვისებზე წვდომა, ალტერნატიული არხების გამოყენებით (მაგალითად, მობილური ტელეფონები). [How Crypto Currency is Changing FinTech, The Duke Perspective, 2019]

ფინტექის მიმართულებით მსოფლიოში წამყვანი კომპანიები:

- მიზნად ისახავენ საკრედიტო, ჯანმრთელობის დაზღვევის, მცირე ბიზნესის აღრიცხვის გარდაქმნას სხვადასხვა ინდუსტრიებს შორის;
- იყენებენ ტექნოლოგიას ხარჯების შემცირების, პროცესების გამარტივებისა და მათი მომსახურების ბაზრის გასაფართოებლად;
- იყენებენ ინტერნეტს, როგორც ვირტუალურ მაღაზიას.

2020 წლის მონაცემების მიხედვით ფინტექის კუთხით მსოფლიოში წამყვანი კომპანიები არიან:

Ant Financial - იგი დაარსდა 2014 წელს, მაგრამ საფუძველი ჩაეყარა 2004 წელს მსოფლიოში მესამე წამყვანი გადახდის პლატფორმის Alipay-ს დაწარმოებისას. იგი იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს როგორცაა ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი და ა.შ. კომპანის მომსახურებას მენეჯმენტში, საკრედიტო რეპორტირებაში, კერძო ბანკინგში, გადასახადებში. მისი ბიზნეს ღირებულება 2018 წელს შეფასდა როგორც 150 მლრდ აშშ დოლარი.

Adyen - დაარსდა 2006 წელს ნიდერლანდებში. იგი ბიზნესს სთავაზობს პლატფორმას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გადახდა ნებისმიერი გაყიდვების არხის საშუალებით, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. Adyen ემსახურება 4500-ზე მეტ ბიზნეს კომპანიას. იგი განაგრძობს ზრდას სწრაფი ტემპით და გააჩნია მომხმარებელთა შთაბეჭდილება სია, მათ შორის Facebook, Netflix, Uber, L'Oréal, Spotify, Symantec, Microsoft, Burberry. სტატისტიკის თანახმად, 2015 დან 2019 წლამდე Adyen-ის შემოსავალი გაიზარდა 98,5 მილიონიდან 496.9 მილიონამდე.


Qudian - არის ჩინეთში დაფუძნებული FinTech ფირმა სესხების ბიზნესში, რომელიც დაარსდა 2014 წელს. იგი მოქმედებს როგორც მიკრო სესხების, განვადების გადახდის საიტი და ინვესტიციების მართვის პლატფორმა. ის სპეციალიზირებულია ჩინელ მომხმარებლებზე, რომლებისთვისაც გასცემს მცირე სესხებს. კომპანიამ ასევე მეტი მომხმარებლის მოზიდვის მიზნით, დაამყარა პარტნიორობა ელექტრონული კომერციის რამდენიმე ფირმასთან, ციფრული და ფინანსური სერვისების კუთხით.

Xero - ყველაზე სწრაფად მზარდი "პროგრამული უზრუნველყოფის" კომპანია, რომელიც დაარსდა 2006 წელს ახალ ზელანდიაში. კომპანია შეიმუშავებს მარტივად გამოსაყენებელ ონლაინ სააღრიცხვო პროგრამას მცირე ბიზნესისთვის და 2019 წლის ბოლოსთვის ჰყავდა 1,8 მილიონზე მეტი გამომწერი. მისი სერვისი მოიცავს სააღრიცხვო მომსახურებას ქეშბუქით, ინვოისებით, რეპორტირებით. იგი Forbes-მა აღიარა როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი სწრაფად მზარდი კომპანია 2014-2015 წლებში.

[\[https://www.investopedia.com/tech/worlds-top-10-fintech-companies/\]](https://www.investopedia.com/tech/worlds-top-10-fintech-companies/)

ინვესტიციების რაოდენობის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ფინტექი წარმოადგენს ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად მზარდ სექტორს. (იხილეთ დიაგრამა 1.2.1, მსოფლიოში განხორციელებული ინვესტიციები ფინტექ ინდუსტრიაში):

დიაგრამა 1.2.1 მსოფლიოში განხორციელებული ინვესტიციები ფინტექ ინდუსტრიაში




წყარო: *statista.com, 2019*

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ინვესტირება ფინტექის სექტორში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუ 2014 წელს მისი საერთო მოცულობა 51.2 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო შეთანხმებების რაოდენობა 1628-ს, 2018 წელს ინვესტიციების მოცულობა 141 მილიარდ დოლარს გაუტოლდა, შეთანხმებების რაოდენობა კი 3145-ს შეადგენდა.


მსოფლიოს მასშტაბით მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად ირკვევა რომ ფინტექის შესახებ ცნობადობა 2015 წელს მხოლოდ 16% იყო, 2017 წელს იგი 33%-მდე გაიზარდა, 2019 წლის მონაცემებით კი საერთო მომხმარებელთა 64% ფინანსურ ტექნოლოგიებს სრულად ცნობს და მოიხმარს. მათი 96% სულ მცირე თანხის გადარიცხვისა და გადახდების სერვისით მაინც სარგებლობს, 48% კი ფინანსური ტექნოლოგიების დაზღვევის სერვისის მომხმარებელია. (იხილეთ დიაგრამა 1.2.2, ფინტექის ცნობადობა და დიაგრამა 1.2.3 თანხის გადარიცხვისა და დაზღვევის ფინტექ სერვისების ცნობადობა):

დიაგრამა 1.2.2 ფინტექის ცნობადობა



წყარო: EY, Global fintech adoption index, 2019

დიაგრამა 1.2.3 თანხის გადარიცხვისა და დაზღვევის ფინტექ სერვისების ცნობადობა



წყარო: EY,


Global fintech adoption index, 2019

ანალოგიური გამოკითხვის მიხედვით, საშუალო და მცირე ბიზნეს სექტორში, ირკვევა რომ საერთო ჯამში ფინანსურ ტექნოლოგიებს სრულად იცნობს და იყენებს მათი მხოლოდ 25%, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. მათ 89%-ს კი აქვს სურვილი ითანამშრომლოს ფინტექ კომპანიებთან. [<https://fintechauscensus.ey.com/>]

(იხილეთ დიაგრამა 1.2.4, ფინტექის ცნობადობა მცირე და საშუალო ბიზნესში):

დიაგრამა 1.2.4 ფინტექის ცნობადობა მცირე და საშუალო ბიზნესში


მცირე და საშუალო ბიზნესი



წყარო: EY, Global fintech adoption index, 2019

თუ ფინტექის ცნობადობის სტატისტიკას გადავხედავთ კატეგორიების მიხედვით, ვნახავთ, რომ ინფორმაცია ყოველწლიურად უფრო ხელმისაწვდომი ხდება და ჯერ-ჯერობით ყველაზე მცირე ცნობადობა დაკრედიტების კუთხით შეინიშნება. ყველაზე მეტად გამოყენებადი კი თანხის გადარიცხვა, გადახდების სერვისია, ცნობილია დაზღვევაც. [www.statista.com/statistics/] (იხილეთ დიაგრამა 1.2.5, ფინტექის ცნობადობა კატეგორიების მიხედვით):

დიაგრამა 1.2.5 ფინტექის ცნობადობა კატეგორიების მიხედვით




წყარო:

statista.com, 2019

თანდათან იცვლება ის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზიც, რის გამოც ფინტექი მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია. 2017 წელს მომხმარებლისთვის ფინტექის მთავარი დადებითი მხარე ანგარიშის გახსნის სიმარტივე იყო (30%), მაგრამ 2019 წელს ეს მაჩვენებელი შეიცვალა და მომხმარებლისთვის მთავარი გახდა ფასებისა და

საკომისიების სიმცირე. ყველა სხვა დანარჩენი მიზეზის მომხრეთა რაოდენობა კი თანდათან შემცირდა. (იხილეთ დიაგრამა 1.2.6, ფინტექის გამოყენების მიზეზები):

დიაგრამა 1.2.6 ფინტექის გამოყენების მიზეზები



წყარო: EY, Global fintech adoption index, 2019


მთავარი მიზეზი, თუ რატომ აგრძელებენ მომხმარებლები მოქმედ ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობას და არ უკავშირდებიან ფინტექ კომპანიებს, არის ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ თუ როგორ მუშაობენ ფინტექ კომპანიები. მეორე მიზეზი არის ნდობა, რადგან მომხმარებლები მეტად ენდებიან იმას, რაც უკვე გამოცდილი აქვთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მომხმარებელთა ნახევარზე მეტს მაინც ურჩევნია მიმართოს ნაცნობ ბანკს ან სხვა ნაცნობ ფინანსურ ინსტიტუტს, როცა რაიმე დანაზოგი გაუჩნდება.

ფინტექი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. ეს მიმართულება განსაკუთრებით არის დაინტერესებული მცირე და საშუალო საწარმოებით. კომპანიები აქტიურად ეძებენ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გაზრდის მათ ეფექტურობას და შეამცირებს ხარჯებს მთელს ბიზნესში. მათ სჭირდებათ მაგალითად ისეთი პროდუქტი თუ მომსახურება, როგორცაა ბუღალტრული აღრიცხვა, ბიზნესის პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ. ფინტექ მიმართულება აქტიურად მუშაობს რომ ამ კუთხით მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების აქტიურ და საიმედო მხარდამჭერად.

ხუთი ქვეყნის - დიდი ბრიტანეთი, აშშ, ჩინეთი, მექსიკა, სამხრეთ აფრიკა, დაკვირვებით შეგვიძლია ვნახოთ თუ რამდენად ათვისებულია ფინტექის

შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ. ამ ქვეყნებს შორის ჩინეთი ლიდერია ფინტექის ათვისების მაჩვენებლით (61%), რაც ძირითადად ფინანსური პლატფორმებისა და ეკოსისტემების ფართო გამოყენების შედეგია, შემდეგ კი მოდის აშშ, 23%-ით. (იხილეთ დიაგრამა 1.2.7, ფინტექის ათვისება მცირე და საშუალო კომპანიებში):

დიაგრამა 1.2.7 ფინტექის ათვისება მცირე და საშუალო კომპანიებში



წყარო: EY, Global fintech adoption index, 2019

ფინტექის ათვისების მაჩვენებლის დასადგენად მცირე და საშუალო კომპანიებს გამოყენებული უნდა ჰქონდეს ფინტექის შესაძლებლობები ოთხი მიმართულებით: გადასახადები და გადარიცხვები, ფინანსური მენეჯმენტი, დაფინანსება, დაზღვევა. მსოფლიოში ფინტექის ათვისების მაჩვენებელი მცირე და საშუალო ბიზნესში 25%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არსებობს მრავალი გამოწვევა და ზრდის შესაძლებლობა ამ მიმართულებით.


აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ ბევრი კომპანია ფინტექის შესაძლებლობებს იყენებს არა ოთხივე კატეგორიაში, არამედ მხოლოდ სამში, შესაბამისად ისინი არ ითვლებიან აღნიშნულ 25%-ში. ასევე მრავალი კომპანია აფიქსირებს სურვილსა და შესაძლებლობას, რომ მომდევნო წლებში აუცილებლად აითვისებს ფინანსურ ტექნოლოგიებს. ამ მიზეზების გათვალისწინებით კი შესაძლოა ფინტექის მიმღები კომპანიების რიცხვი 64%-მდეც კი გაიზარდოს. [www.ey.com/en_gl/banking-capital-markets/]

ფინტექის მიმღები მცირე და საშუალო კომპანიების 96% თანხმდება, რომ ონლაინ და მობილური გაყიდვების არხები უმნიშვნელოვანესია მათი ბიზნეს საქმიანობისთვის.

ისინი ასევე აქტიურად მოიხმარენ ონლაინ გადახდებისა და ონლაინ ბილინგის შესაძლებლობებს.

ამ ხუთი ქვეყნის ბაზარზე დაკვირვებით ვამჩნევთ, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიები იყენებენ ფინტექს რომ უზრუნველყონ მრავალფეროვანი და განსხვავებული პროდუქტისა და მომსახურების მიწოდება დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ფინტექი იძლევა შესაძლებლობას შეამცირონ განაკვეთები და საკომისიოები, დანერგონ და მართონ ახალი სერვისები უფრო მარტივად. თუმცა, პრიორიტეტები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. (იხილეთ დიაგრამა 1.2.8, ფინტექის ათვისება კატეგორიების მიხედვით):

დიაგრამა 1.2.8 ფინტექის ათვისება კატეგორიების მიხედვით



წყარო: KPMG, The pulse of fintech, 2019

მონაცემების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალოდ 56%-ზე მეტი იყენებს ბანკინგს და გადახდების ფინტექ სერვისს, სწორედ ეს კატეგორიაა ყველაზე გავრცელებული. შემდეგ მოდის ფინანსური მენეჯმენტი, დაფინანსება და ბოლოს დაზღვევა. ჩინეთის ბაზარზე კომპანიების 92% ბანკინგისა და გადახდების სერვისის მომხმარებელია. ამ კატეგორიის მაღალი მაჩვენებელი ძირითადად განვითარებად ბაზრებს ახასიათებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში ფინტექის როლი და მისდამი ინტერესი თანდათან იზრდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათი 70% მზად არის

საკუთარი საბანკო მონაცემები სხვა ფინანსურ კომპანიებთანაც გააზიაროს თუ ეს უსაფრთხო იქნება და მისცემს ზრდის საშუალებას. ანალოგიური მაჩვენებელი სხვა მომხმარებლებში მხოლოდ 45%-ია. მცირე და საშუალო და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შორის მონაცემების გაზიარების ეს მზადყოფნა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ფინტექისთვის, რომ შექმნან პროდუქტები ღია API-ების გარშემო. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სადაც 2018 წელს გამოიყენეს ღია საბანკო რეჟიმი, ფინტექის მიმღები მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების 94% მზად არის მონაცემები გააზიაროს სხვა ფინანსურ კომპანიებთან, ხოლო მათი 63% მზად არის მონაცემები გააზიაროს არასაფინანსო კომპანიებთან. მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებისთვის ღია ბანკინგის შედეგად წარმოქმნილი ეფექტურობა, ასევე ღია API-ებით უზრუნველყოფილი პროდუქტები და მომსახურება მნიშვნელოვანია. დიდ ბრიტანეთში ბევრი კომპანია იყენებს ღია ბანკინგს (open banking) და ღია მონაცემებს (open data), რაც მათ ეხმარებათ ზრდასა და განვითარებაში. ფინტექები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური მენეჯმენტის განვითარებას, იყენებენ ღია საბანკო მონაცემებს ფულადი ნაკადებისა და ფინანსური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ღია API პროვაიდერებს საშუალებას აძლევს შესთავაზონ მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს გაუმჯობესებული მომსახურება, როგორცაა ოვერდრაფტის დაცვა, აღრიცხვა, ხარჯების მენეჯმენტი, ფაქტორინგი და ა.შ.

ღია ბანკინგის საწყისები ჩნდება აზიაშიც, თუმცა ევროპის ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია. იაპონია, ჩინეთი, ჰონგ-კონგი განსაკუთრებით მიისწრაფვიან მეტი ღიაობისკენ, რაც მომხმარებლის ინიციატივით, ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციას შორის არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მათ გაცვლას გულისხმობს. ღია ბანკინგი ბევრი დადებითი შედეგების მომატანია როგორც მომხმარებლისთვის, ასევე მთლიანად ფინანსური სექტორისთვის. ეს კი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას ბიზნეს სუბიექტებისთვის.

ფინანსების მოძიების კუთხით, რაც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხია, მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია ღია ბანკინგს.

როდესაც კომპანიებს წვდომა აქვთ ანგარიშებზე, მათ შეუძლიათ უკეთ შეაფასონ რისკი, საკრედიტო ისტორია და შესაბამისად მიიღონ გადაწყვეტილებები.

ამრიგად, ფინანსური ტექნოლოგიები (ფინტექი) გულისხმობს ბიზნეს მოდელებისა და ტექნოლოგიების ათვისებას ფინანსური მომსახურების სფეროში. იგი მრავალი დადებითი თვისებით ხასიათდება: მოქნილობა, სისწრაფე, ბიზნეს სასქმიანობის ზრდის შესაძლებლობა, პროდუქტისა და მომსახურების მრავალფეროვნება და ა.შ. ინვესტირება ფინტექის სექტორში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს მის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის სიმცირე მსოფლიოს მასშტაბით. ყველაზე ფართოდ ცნობილი და გამოყენებადია ფულადი გადახდები და გადარიცხვები, თუმცა მსოფლიოს მასშტაბით ფინტექის შესაძლებლობებს სრულად იცნობს და იყენებს საშუალო და მცირე ბიზნეს კომპანიების მხოლოდ 25%. მათი უმეტესი ნაწილი ფინტექს ოთხი ძირითადი მიმართულებით იყენებენ: გადასახადები და გადარიცხვები, ფინანსური მენეჯმენტი, დაფინანსება, დაზღვევა. ბოლო დროს განსაკუთრებით გაზრდილია ღია ბანკინგის როლიც, რაც ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებს შორის, შედეგად კი შესაძლებელია უკეთ შეფასდეს ამა თუ იმ მსესხებლის საკრედიტო ისტორია და გაკეთდეს შესაბამისი შეთავაზებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ პრობლემურია ღია ბანკინგზე გადასვლა, განსაკუთრებით კი, განვითარებად ქვეყნებში.

1.3 პანდემიის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე

მცირე და საშუალო ბიზნესს მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა Covid 19-მა. ტრადიციული დაკრედიტების მოდელებიც უძლური და არასაკმარისი აღმოჩნდა მათ დაფინანსებაში. სწორედ ფინტექზე დაფუძნებულ მიდგომებს შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს და შეუმსუბუქოს მათ დანაკარგი. სულ უფრო დაუცველი ხდება ბიზნესი შემცირებული მოთხოვნის ფონზე. ტრადიციული გზით დაფინანსება გულისხმობს წვდომას მსესხებლის საკრედიტო ისტორიაზე და შესაბამისად რისკების შეფასებას. თუმცა როგორც უკვე ვნახეთ ამის შემდეგაც კი საკმაოდ რთულია ტრადიციული გზით

კრედიტის აღება, იგი დიდ დროს საჭიროებს და ამასთანავე შესაძლოა პასუხი უარყოფითი იყოს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს დაკრედიტების ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც ტექნიკის მოწინავე პლატფორმებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, კრედიტორს წვდომა აქვს მსესხებლის ინფორმაციაზე, უფრო მარტივად შეუძლია შეაფასოს მისი მდგომარეობა და სესხი გასცეს სულ 24 საათზე ნაკლებ დროში.

თუ დავაკვირდებით პანდემიის შედეგებს მცირე და საშუალო ბიზნესზე, ვნახავთ რომ უარყოფითი გავლენა ძალიან დიდია. მცირე და საშუალო კომპანიების მესამედი ფიქრობს, რომ ისინი დაახლოებით ერთი თვის მანძილზე თულა შეძლებენ საქმიანობას, 50% კი მიიჩნევს რომ მაქსიმუმ სამი თვე თუ განაგრძობენ არსებობას. (იხილეთ ცხრილი 1.3.1, პანდემიის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე ქვეყნების მიხედვით):

ცხრილი 1.3.1 პანდემიის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე ქვეყნების მიხედვით

თარიღი	ქვეყანა	შეფასება
08.04	ნიდერლანდები	მცირე და საშუალო საწარმოთა 85% ფინანსურ კრიზისს განიცდის
10.04	პორტუგალია	50%-ზე მეტი ამბობს რომ აღარ აქნება არსებობის რესურსი 2 თვის შემდეგ
24.04	გერმანია	58%-ზე მეტი განიცდის ბრუნვის შემცირებას საშუალოდ 50%-ით; საწარმოთა ნახევარი ამბობს რომ მხოლოდ ორი თვე თულა განაგრძობს საქმიანობას არსებული რესურსით
04.05	კანადა	81%-ზე მკვეთრი ნეგატიური გავლენა იქონია პანდემიამ, მომავალ წელს საქმიანობას შეწყვეტს საწარმოთა 35%
11.05	აშშ	81% მიიჩნევს რომ პანდემიის გავლენას ვერ შეამსუბუქებს 12-16 თვის მანძილზე, საწარმოთა 20% გაუქმდა, 33% მხოლოდ 2 თვე თუ იარსებებს
13.05	დიდი ბრიტანეთი	მცირე და საშუალო საწარმოთა 41% გაუქმდა, 35% ფიქრობს, რომ აღარ გაიხსნება

წყარო: OECD, SME policy responses, 2020

“NBER paper”-ის (Bartik et al., 2020[1]) სტატიის მიხედვითაც, რომელშიც აშშ-ში 5800-ზე მეტი მცირე ბიზნეს კომპანიის კვლევის შედეგებია გამოქვეყნებული, გამოკითხულთა 43% უკვე დროებით დახურულია და საწარმოებმა თანამშრომლები

საშუალოდ 40%-ით შეამცირეს. ასევე, 5 მაისს აშშ-ს სავაჭრო პალატის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში ჩანს რომ პანდემიის დროს ტექნოლოგიების როლი გაიზარდა. მაგალითად, ონლაინ ტრანზაქციები თანამშრომელთა მხრიდან 12%-დან 20%-მდე გაიზარდა, ხოლო ბიზნესის საცალო ასპექტების გაციფრულება 10%-დან 17%-მდე. [OECD, SME policy responses, 2020]

იაპონიაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვითაც, მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების 81% მიიჩნევს, რომ პანდემია მათ გახდით უფრო მოქნილს, ხოლო მათი ერთი მესამედი კი ფიქრობს რომ დიჯიტალიზაცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

იმის გათვალისწინებით, თუ რა სპეციფიკური გარემოებები სჭირდებათ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ქვეყნებმა მიიღეს შესაბამისი ზომები მათ დასახმარებლად. კერძოდ, ბევრ ქვეყანაში სასწრაფოდ მიიღეს ზომები მცირე და საშუალო ბიზნესის და თვითდასაქმებულთა მხარდასაჭერად. მაგალითებში მოცემულია მიღებული ზომები აშშ-ს ფედერალური სარეზერვო და ევროპული ცენტრალური ბანკის მიერ.

- ზოგიერთ ქვეყანაში შემოიღეს ზომები დასაქმებულთათვის სამუშაო დროის შემცირებასთან დაკავშირებით, ასევე შესაძლოა თანამშრომლები გასულიყვნენ დროებით შევებულეებშიც. განსაკუთრებით კი ეს პოლიტიკა შესაძლოა მიმართულიყო მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთათვის. მთავრობები გასცემენ დახმარებებს დროებით გათავისუფლებული თანამშრომლებისთვისაც.
- ლიკვიდობის შეზღუდვების შემსუბუქების მიზნით, ბევრმა ქვეყანამ შემოიღო ზომები საგადასახადო გადასახადის, სოციალური უზრუნველყოფის გადასახადების გადავადების, სესხის გადახდების, ქირის და კომუნალური გადასახადების გადავადების მიზნით.
- რამდენიმე ქვეყანამ შემოიღო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა სესხის გარანტიებით უზრუნველყოფის გამარტივებას, რათა კომერციულ ბანკებს შეეძლოთ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გაფართოება.
- ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნებმა შეიმუშავეს მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი სესხების პოლიტიკა სახელმწიფო ინსტიტუციების მეშვეობით.

- რამდენიმე ქვეყანა გასცემს გრანტებს და სუბსიდიებს მცირე და საშუალო ბიზნესის და სხვა კომპანიების შემოსავლების ვარდნის შესაჩერებლად.
- ასევე ქვეყნები ახორციელებენ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს დახმარება გაუწიონ აითვისონ ახალი სამუშაო მეთოდები და ციფრული ტექნოლოგიები ახალი ბაზრებისა და გაყიდვების არხების მოსაძიებლად.
- ზოგიერთმა ქვეყანამ შემოიღო სპეციფიკური სქემები კრიზისის გავლენის მონიტორინგისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ასევე შესაბამისი რეაგირების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

მოთხოვნის შემცირების გამო მცირე და საშუალო ბიზნეს საწარმოები გამოწვევის წინაშე დგანან, რაც უკავშირდება ხელფასების, დეკრეტული შვებულებისა თუ ბიულეტენის ანაზღაურებას მუშაკებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, დახმარება მიმართულია კომპანიებზე, რათა მათ გააგრძელონ ხელფასის გადახდა და შრომისუუნარობის თავიდან აცილება. სხვა შემთხვევებში, მთავრობები ხელს უწყობს დამსაქმებლის წილს ანაზღაურებად შვებულებაში. სამუშაო საათების დროებით შემცირებით იქმნება შესაძლებლობა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა გაუძლონ გამოწვევებს და მთლიანად არ მოუხდეთ ბიზნესის საქმიანობის შეწყვეტა ან თანამშრომელთა შემცირება. გერმანიაში გაიზარდა მოკლევადიანი შეთანხმებები სამსახურებში, სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაიოდენობა კი შემცირდა 30%-დან 10%-მდე. დანიაში და უნგრეთში კომპანიებს მიეცათ უფლება დროებით შეემცირებინათ თანამშრომელთა რაოდენობა. პორტუგალიამ დაიწყო იმ კომპანიათა წახალისება, რომელთა საქმიანობაზეც გავლენას ახდენდა პანდემია. საფრანგეთში ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულთა ანაზღაურებას უზრუნველყოფს მთავრობა, რათა არ მოხდეს მათი შემცირება. ნორვეგიის მთავრობა გასცემს ანაზღაურებას იმ ადამიანებზე, რომლებიც სამსახურიდან გაათავისუფლეს პანდემიის პერიოდში. შვედეთში მთავრობა ფარავს ხარჯების სამ მეოთხედს, თანამშრომელთა სამუშაო დროის შემცირების პარალელურად. ასევე დაიფარება ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა ხარჯების ერთი მესამედი. ჰოლანდიაში კომპანიებს, რომლებსაც დამატებული ღირებულების ვარდნა მოელით მინიმუმ 20%-ით, შეუძლიათ მოითხოვონ კომპენსაცია სახელფასო ხარჯების 90% -ით. ესპანეთში ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა კონტრაქტებს მთავრობა

საკუთარი სახსრებით შეინარჩუნებს 2020 წლის თებერვლიდან ივნისის თვის ჩათვლით.
[OECD/tackling coronavirus (covid-19S)]

დანიაში დასაქმებულები მთლიანად ანაზღაურდებიან მთავრობის მიერ პირველივე დღიდან, ავად გადხომის ან კორონავირუსის გამო კარანტინაში მოხვედრის შემთხვევაში. სხვა ქვეყნები თავაზობენ ნაწილობრივ ანაზღაურებას. მაგალითად, ბრაზილიაში, მთავრობა გადაიხდის თანამშრომლის შვებულების პირველ 15 დღეს COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში. ლატვიაში მთავრობა დაფარავს ხარჯების 75%-ს თანამშრომლის ავადმყოფობის შემთხვევაში, ან დაახლოებით 700 ევროს თითო თანამშრომელზე თვეში.

ქვეყნების უმეტესობაში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შეღავათების გაწევის მიზნით დაწესდა ისეთი ზომები, რომლებიც გულისხმობს გადასახადების გადახდის გადავადებას, ზოგიერთ ქვეყნებში კი მათ შემცირებასაც. რამდენიმე ქვეყანაში, კომერციულმა ბანკებმა, ზოგჯერ მთავრობამ მხარი დაუჭირა დროებითი მორატორიუმის გამოცხადებას ვალის დაფარვის შესახებ. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში კომუნალური გადასახადების გადახდა, იპოთეკური გადასახადები და ქირაობა მცირე ბიზნესის და მოქალაქეების მხრიდან დროებით გაუქმდა. ადგილობრივმა მთავრობებმა ასევე გადაიდო ქონების გადასახადის გადახდა. დიდ ბრიტანეთში, მცირე ბიზნესის გადასახადები მთლიანად გაუქმდა 2020 წლისთვის. შოტლანდიამ 75%-ით შეამცირა განაკვეთები ტურიზმისა და დასასვენებელი სექტორებისთვის.

უნდა აღინიშნოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა კომერციული ბანკების მხრიდანაც. მაგალითად ავსტრალიის ბანკებმა გამოაცხადეს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სესხის დაფარვის ექვსთვიანი შეღავათის გზით. ბელგიაში ფინანსური სექტორი სესხებს გადაავადებს 30 სექტემბრამდე. გარდა ამისა, მთავრობა ხსნის 50 მილიარდი ევროს ახალ გარანტიას ყველა ახალი კრედიტისთვის 12 თვემდე. ჩინეთში, მძიმე ინდუსტრიის ფირმებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაევადათ სესხის დაფარვა. ეგვიპტეშიც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ ისარგებლონ იღებენ 6 თვიანი გადავადებით სესხის დასაფარად. საფრანგეთი და გერმანია კომპანიებს სთავაზობენ კონფლიქტურ

შუამავლობას მცირე და საშუალო ბიზნესსა და კლიენტებს/მომწოდებლებს შორის, რათა დაეხმარონ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ გადაიხადონ სასესხო ვალდებულებები. საფრანგეთის საბანკო ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ფირმებს, რომელთაც აქვთ საკრედიტო კრიზისი, სთავაზობენ დაბალი პროცენტის სესხების წვდომას, რომელთა დაფარვას დაიწყებენ ერთ წელიწადში. უნგრეთში, სესხის დაფარვები შეჩერებულია 2020 წლის ბოლომდე ყველა კერძო პირისა და ბიზნესისათვის, რომლებმაც მიიღეს სესხი 18 მარტამდე. ახალი სესხების წლიური პროცენტული კურსის მაქსიმუმი განისაზღვრა როგორც ბანკის %-ს დამატებული 5 პროცენტი. კორეასა და მალაიზიაშიც მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებს საშუალება მიეცათ გადაავადონ სესხების დაფარვა. სამხრეთ აფრიკაში სესხის აღების ფონდი მიზნად ისახავს არსებული დავალიანებისა და დაფარვის შემსუბუქებას, მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებას პანდემიის დროს. იმისათვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღოს შეღავათი, განმცხადებელმა უნდა აჩვენოს უშუალო კავშირი COVID-19-ის გავლენის ან პოტენციური ზემოქმედების შესახებ საკუთარ ბიზნეს საქმიანობაზე. სამინისტრომ ჩამოაყალიბა ცენტრალიზებული სარეგისტრაციო სისტემა (www.smmesa.gov.za), სადაც ფინანსური დახმარების გაწევის მსურველთა რეგისტრაცია და შემოწმება მოხდება.

რამდენიმე ქვეყანამ შემოიღო ახალი საგარანტიო სქემები კრიზისის საპასუხოდ. მაგალითად, დანიამ შემოიღო სესხის გარანტიის ორი ახალი სქემა, ერთი კონკრეტულად მცირე და საშუალო ბიზნესის. მთავრობა გარანტიის 70%-ს იძლევა სესხებზე, რომლებიც გაიცემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. იაპონიაც სპეციფიკურ საგარანტიო პროგრამას სთავაზობს იმ მცირე და საშუალო ფირმებს, რომელთა გაყიდვები და მოგებაც მცირდება პანდემიის გამო. იაპონიის საკრედიტო გარანტიის კორპორაციების ფედერაცია (JFG) გარანტიას უზრუნველყოფს სესხის სრულ თანხაზე ასეთი მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის.

ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო ზომები, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესს დაეხმარება, აითვისონ ახალი სამუშაო პროცესები, დააჩქარონ დიჯიტალიზაცია (ციფრული წარმოება) და იპოვონ ახალი ბაზრები. ასეთი პოლიტიკა მიზნად ისახავს მოკლევადიანი გამოწვევების გადაჭრას, მაგრამ ასევე ხელს შეუწყობს მცირე და

საშუალო ბიზნესის მდგრადობის განმტკიცებას და მათი შემდგომი ზრდის მხარდაჭერას. ახალი ტექნოლოგიების ათვისება მათ საშუალებას მისცემს იყვნენ კონკურენტუნარიანები და შეამცირონ პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა. მაგალითად, ჩინეთსა და იტალიაში მთავრობა მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს ეხმარება მაქსიმალურად აითვისონ სიახლეები, როგორცაა ციფრული სერვისები, ვიდეო კონფერენციები, დისტანციური ოფისი და ა.შ.

აშშ-ში მთავრობამ ბიზნესის დასახმარებლად გამოყო 613 მილიონი აშშ დოლარი. კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესს დაეხმარება ფინანსური სახსრების მიღებაში; ასევე ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებს, მოგზაურობებსა და ტურიზმს შესთავაზებს განსაკუთრებულ პირობებს.

პანდემიის პირობებში სულ უფრო გაიზარდა ფინტექის როლი. ფინტექ ინდუსტრია ჯერ კიდევ ახალი დარგია, რომელიც ტრადიციული ფინანსური მომსახურებებისგან აღმოცენდა, თუმცა, მათგან განსხვავებით, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები ოსტატურად მოირგო და მომხმარებლებს ფინანსურ სახსრებზე წვდომა გაუმარტივა. ალგორითმებსა და მონაცემთა მეცნიერებაზე დაფუძნებულმა ბიზნესმა მომხმარებლებს მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭა და დაამსხვრია კონსერვატიული ფინანსური მიდგომები.

დარგის ძირითადმა მოთამაშეებმა უკვე მოახდინეს ადაპტაცია და მომხმარებლის მოთხოვნებზე გადაწყობა. მაგალითად, ამერიკულმა ნეო-ბანკმა Chime მათი აპლიკაციის საშუალებით ყველა მოქალაქეს გზა გაუხსნა, პირდაპირ ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ბენეფიტებით. არც ღია საბანკო პლატფორმა Railsbank ჩამორჩენია მოვლენებთან ადაპტირებას და სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გამოუყო COVID-19-ით დაზარალებულ ჯგუფებს. ბრიტანულმა საკრედიტო ბიურომ Credit Kudos, რომელიც მომხმარებელთა საკრედიტო ისტორიას აწვდის ფინანსურ ინსტიტუტებს, თვითდასაქმებულთათვის ახალი ხელსაწყო შექმნა, რომლის მეშვეობით, მომხმარებლებს შემოსავლების დადასტურება შეუძლიათ, რაც ფინანსურ რესურსებზე წვდომას ზრდის. გაორმაგებულია მოთხოვნა P2P (peer 2 peer) პლატფორმებზე, სადაც მომხმარებლები შაუამავალი ფინანსური ინსტიტუტების გარეშე ითხოვენ თანხებს ფიზიკური პირებისგან. ასეთმა მზარდმა მოთხოვნამ, მყისიერი

ცვლილება გამოიწვია რისკების შეფასების სისტემაში და თითქმის ყველა წამყვან P2P პლატფორმას მოუწია ადაპტირება ახალ რეალობასთან. ასეთი ტიპის პლატფორმების წარმატების ინდიკატორი, სწორედ ვადაგადაცილებული სესხების პროცენტის დაბალი ზღვარია (default rate). ვადაგადაცილებული აქტივების მართვის თვალსაზრისით, აქტიურად განვითარდა მეორადი ბაზრები, სადაც ფინანსური დავალიანებების რეფინანსირება და პლატფორმებიდან ინვესტირების მოზიდვა ხორციელდება. შეცვლილია რისკების შეფასების სისტემები და ტექნოლოგიები, მიმდინარეობს სამომხმარებლო ქცევის ცვლილებების სიღრმისეული დაკვირვება, რაც ახალისებს ადაპტირებული პროდუქტების გამოჩენას ბაზარზე. პანდემიასთან ადაპტირება არც Google Pay-ს გამორჩენია და ბაზარზე ახალი სადებეტო ბარათი წარმოადგინა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, არამხოლოდ ონლაინში, არამედ ოფლაინშიც განახორციელონ შესყიდვები. ეს კი „გუგლს“, მდიდარ სამომხმარებლო ბაზას, კიდევ უფრო გაუზრდის მონაცემების მოპოვების არეალს. „გუგლი“ სამომავლოდ განავითარებს ნეო-საბანკო პროდუქტებს, რომელიც ხელიმისაწვდომი იქნება ფართო მასებისათვის. გადარიცხვების აპლიკაცია Venmo-მაც მყისიერად უპასუხა ამერიკის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს და არასაბანკო, მთავრობის მიერ გამოყოფილი დახმარების პაკეტის მისაღებად მომხმარებლებს მიმდინარე ანგარიშის პრობლემა მოუხსნა. [<https://www.forbeswoman.ge/>]

ფინანსური ტექნოლოგიების ათვისების მნიშვნელობა გააზრებული აქვს ისლანდიასაც, სადაც პანდემიის პერიოდში ინოვაციების გასაძლიერებლად 2.5 მილიონი ევრო გამოიყო. ეს თანხა უნდა მოხმარდეს ტექნოლოგიურ წინსვლას, რაც ბიზნესს დაეხმარება მდგომარეობიდან გამოსვლაში.

ყოველდღიურად იმატებს იმ მომხმარებელთა რიცხვი, რომელმაც არამიზნობრივი ხარჯების დასარეგულირებლად ფინანსური მართვის აპლიკაციებს მიმართა. გაიზარდა ფინანსური დაგეგმვისა და ხარჯების ოპტიმიზირების კულტურა. 72%-ით გაზრდილია უკონტაქტო გადახდები და სულ უფრო მეტი ადამიანი რეგისტრირდება გადარიცხვების აპლიკაციებში. გაზრდილია მოთხოვნა სამომხმარებლო და მცირე საწარმოო სესხებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ გლობალურად კრიზისის პერიოდი 2020 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო აღდგენასა და საწყის ნიშნულზე დაბრუნებას 12-18 თვე დასჭირდება, ფინანსური ინდუსტრიის დიჯიტალიზაცია უკვე არა ტრენდი, არამედ – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ნაბიჯი იქნება. სულ უფრო მეტი ფიზიკური ფილიალი შეწყვეტს მუშაობას და გადაინაცვლებს ონლაინ-სამყაროში. გაიზრდება მოთხოვნა ღია საბანკო სერვისებზე. ფინტექ ინდუსტრიის ისეთი მოთამაშეები, რომლებიც სამომხმარებლო და მცირე საწარმოთათვის სესხებს გასცემენ, ძალიან სწრაფად მოახდენენ თავიანთი მანქანური სწავლების გადაწყობას და ეფექტურად მიაწვდიან კაპიტალს ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტებს. გაიზრდება მოთხოვნა ისეთ P2P lending პლატფორმებზე, როგორცაა (Funding Circle, Prosper, Mintos, Twino და მსოფლიოს წამყვანი სხვა კომპანიები).

პანდემიამ დააჩქარა მოთხოვნის ზრდა AI ხელოვნურ ინტელექტსა და და IoT ტიპის ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე. სულ უფრო მოიმატებს ჩატ და ქოლ ცენტრის ბოტებზე საჭიროება, ანგარიშის გახსნისა და სესხის გაცემის ავტომატიზაცია, რაც შეიძლება მინიმალური ადამიანური რესურსის ჩართვის ფაქტორით. მოთხოვნის მზარდი ტრენდით ახასიათებს ციფრულ საფულებსა და ციფრულ იდენტიფიკატორებს (Digital ID). ბიომეტრიული ID ვერიფიკატორის მეშვეობით ფინანსურ ინსტიტუტებს გაუმარტივდებათ მომხმარებელთა შემოწმება, აგრეთვე გაიზრდება უსაფრთხოება.

ტექნოლოგიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულ ტურიზმისა და სასტუროების სექტორში. სწორედ ტექნოლოგიური პლატფორმები უნდა დაეხმაროთ მათ შეიმსუბუქონ არსებული მდგომარეობა და მოერგონ მომავალს. საჭიროა ტრადიციული მიდგომების შეცვლა.

ამრიგად, პანდემიამ ყველა ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა და ბუნებრივია მისი გავლენა ნეგატიურია მცირე და საშუალო ბიზნესზეც. აღნიშნული კომპანიები დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ და სწორედ ამიტომ ქვეყნებმა შეიმუშავეს მათი დახმარების სხვადასხვა მეთოდები. მცირე და საშუალო კომპანიების მესამედი ფიქრობს, რომ ისინი დაახლოებით ერთი თვის მანძილზე თულა შეძლებენ საქმიანობას, 50% კი მიიჩნევს რომ მაქსიმუმ სამი თვე თუ განაგრძობენ არსებობას.

კვლევის ამ შედეგებიდანვე აშკარაა რომ საჭიროა მათი სუბსიდირება, სწორედ ამიტომ გატარდა ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა სესხის დაფარვის გადავადება, მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი სუბსიდირება, გარანტიების გაცემა სახელმწიფოს მხრიდან, თანამშრომელთა ხელფასების ანაზღაურება, კომუნალურების დაფარვა და ა.შ.

თუმცა, პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა ფინანსური ტექნოლოგიების როლი, რაც გამოიხატა მინიმალური ადამიანური რესურსის ჩართულობით სესხების აღების საჭიროებაში, ანგარიშის გახსნისა თუ უკონტაქტო გადარიცხვების გამარტივებაში. ის კომპანიები, რომლებიც მაქსიმალურად ითვისებენ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს უკეთ ერგებიან არსებულ მდგომარეობას, მარტივად შეუძლიათ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და ბიზნესის ფუნქციონირების გაგრძელება.

თავი II. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და დაფინანსების გზები საქართველოში

2.1 მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეწარმეობის ხელშეწყობა. მცირე და საშუალო საწარმოებს მრავალი დადებითი გავლენა აქვთ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში. ისინი მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას მნიშვნელოვნად ამაღლებენ. მათი წყალობით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, იზრდება დასაქმების მაჩვენებელი, ხდება ინოვაციების შემოტანა, ქმნის პროდუქტისა თუ მომსახურების მრავალფეროვნებას და სხვ.

მცირე და საშუალო საწარმოთა განმსაზღვრელი სხვადასხვა კრიტერიუმებია შემუშავებული ქვეყნების მიხედვით. საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსს იღებს ისეთი მეწარმე ფიზიკური პირი, რომლის წლიური შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან (ერთი კალენდარული წლის მანძილზე) არ აღემატება 500000 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ მისმა შემოსავალმა გადააჭარბა 500000 ლარს, მცირე ბიზნესის სტატუსი მაინც არ გაუუქმდება 2 წლის მანძილზე. [შემოსავლების სამსახური, www.rs.ge] საშუალო საწარმოდ იწოდება საწარმო, სადაც დასაქმებულია 20-100 ადამიანი და მისი წლიური შემოსავალი არ აღემატება 1500000 ლარს.

ყველა თანხმდება, რომ ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. ასეთ საწარმოებს მრავალი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლიათ: მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, ზრდიან დასაქმებას; მათ თავის მხრივ უჩნდებათ მოთხოვნა ნედლეულზე, მასალებზე, მოწყობილობებზე, ამით კი მოსახლეობისთვის ჩნდება დამატებითი შემოსავალი; ხელს უწყობენ სიახლეების, ინოვაციების დანერგვას, განსაკუთრებულად სწრაფად ითვისებენ ახალ ტექნოლოგიებს; ზრდიან შრომის მწარმოებლურობას, რაც გამოიხატება ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების შემცირებაში, სპეციალიზაციის შედეგად; შეუძლიათ მარტივად მოერგონ ადგილობრივ პირობებსა და ცვლილებებს.

დადებით, ძლიერ მხარეებთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესები მრავალ წინააღმდეგობას აწყდებიან, ანუ მათ მრავალი სუსტი მხარეც გააჩნიათ. სწორედ ამიტომ

სჭირდებათ ხელშეწყობა და დახმარება სახელმწიფოს მხრიდან. მცირე და საშუალო საწარმოთა ნაკლოვანებებია:

- რისკის მაღალი დონე, მცირე და საშუალო საწარმოების მდგომარეობა ბაზარზე ნაკლებად მყარია მსხვილ ბიზნეს სუბიექტებთან შედარებით;
- ფინანსური რესურსის მოპოვების სირთულე;
- მსხვილ ბიზნეს კომპანიებზე დამოკიდებულება;
- მფლობელის ან სხვა დასაქმებულთა გამოცდილების ნაკლებობა;
- ზეგანაკვეთური მუშაობა;
- საერთაშორისო ბაზრების შესახებ მცირე ცოდნა;
- ინტერნაციონალიზაციისა და ექსპორტის შეზღუდული შესაძლებლობა.

მცირე და საშუალო საწარმოებში ხშირია გაკოტრების შემთხვევები. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მცირე საწარმოთა ნახევარზე მეტი 5 წელიწადზე მეტ ხანს ვერ აგრძელებს არსებობას. ისინი კონკურენციას ნაკლებად უწევენ მსხვილ ბიზნესებს, რომლებიც თავის მხრივ ასევე ეძებენ დაფინანსებას და ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები მათ უფრო ენდობიან, შედარებით დაბალი რისკიანობის გამო.

საქართველოში გააზრებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის აუცილებლობა. ამ მხრივ წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქვეყანაში 2018 წლიდან მცირე საწარმოთა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი ამოქმედდა. ახალი რეჟიმი სწორედ მცირე მეწარმეობის წახალისებასა და დახმარებას ემსახურება:

- მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-ით (5%-ის ნაცვლად);
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით იმ შემთხვევაში, თუ 1 წლის განმავლობაში დასაბეგრმა შემოსავალმა 500000 ლარს გადააჭარბა. (გადაჭარბების შემთხვევაში სტატუსი მაშინვე არ გაუქმდება). [შემოსავლების სამსახური, www.rs.ge]

საქართველოში არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ორი ინსტიტუტი: საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და მეწარმეობის განვითარების სააგენტო. მეწარმეობის განვითარების სააგენტო მაკოორდინებელი სტრუქტურაა მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელების

მიმართულებით. იგი ხელს უწყობს დამწყებ ბიზნეს საწარმოებს, აამაღლოს მათი კონკურენტუნარიანობა, უზრუნველყოს კონსულტაციების გამართვა, მიაწოდოს მეწარმეებს ინფორმაცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ, გაზარდოს მცირე საწარმოთა ხელმისაწვდომობა ფინანსებზე, დაეხმაროს მათ საერთაშორისო ბაზარზე გასვლაში და სხვ.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო კი ძირითადად ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებისკენ არის მიმართული. იგი ხელს უწყობს ინოვაციურ დამწყებ ბიზნესებს სწორად წარმართონ საკუთარი საქმიანობა და გაზარდონ კონკურენტუნარიანობა. სააგენტო ეხმარება ბიზნეს და სამეცნიერო წრეებს თანამშრომლობაში, ხელს უწყობს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით მთელი ქვეყნის დაფარვას, საყოველთაო კომპიუტერიზაციას, ბიზნესის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საქართველოში ასევე არსებობს მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერი ბიზნეს ასოციაციები: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ძირითადად ორიენტირებულია საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურებაზე, ხელს უწყობს ბიზნესის გაუმჯობესებას და ექსპორტს. დამსაქმებელთა ასოციაციის წევრია 1000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანია. აქ გაერთიანება ფასიანია (600-2000 აშშ დოლარი) და დამოკიდებულია საწარმოს ზომაზე. მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია მეწარმეებს სთავაზობს კონსულტაციებს, ცოდნის ამაღლებას. მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია ორიენტირებულია დაიცვას მეწარმეთა ინტერესები, გაუწიოს მათ საადვოკატო მომსახურება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „წარმოე საქართველოში“. პროგრამა რამდენიმე მიმართულებას გამოჰყოფს:

- ინდუსტრიული მიმართულება-ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება ან გადაიარაღება;

- სასტუმრო ინდუსტრია-ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, რადგან რეგიონებში იქმნება ახალი სასტუმროები, იზრდება სამუშაო ადგილები. ხდება ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა;
- მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
- გადაიღე საქართველოში-ადგილობრივ პროდიუსერებს ეხმარება საქართველოში გადაიღონ ფილმი და კვალიფიციური ხარჯების ნაწილი(20%-25%) უკან მიიღონ.
- საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
- ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია-ტურიზმის გაზრდა, დამსვენებლების მოზიდვა, რეგიონის განვითარება;
- ტურისტული სერვისების ინდუსტრია-თემატური პარკების, სერვისების განვითარება, ტრალიციული მიდგომების შეცვლა ახლებურით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. მსურველები ავსებენ აპლიკაციას, შემდეგ საუკეთესო ავტორები გაივლიან ტრენინგს, თუ როგორ უნდა დაწერონ კარგი ბიზნეს-გეგმა და გამარჯვების შემთხვევაში მიიღებენ თანადაფინანსებას 30000 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტულ მიმართულებად ინტელექტუალურ და ტურისტულ სერვისზე ორიენტირებული პროექტები განიხილება. 2019 წლის მონაცემების მიხედვით, ამ მიმართულების დასაწყისიდან 2018 წლის ჩათვლით, სულ მხარდაჭერილი იყო 6212 პროექტი, მათთვის თანადაფინანსება გაიცა 47 მილიონი ლარის ოდენობით, ჯამური ინვესტიცია კი 61 მილიონ ლარზე მეტს შეადგენდა.

რაც შეეხება საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმს, იგი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოებზე საკრედიტო გარანტიის გაცემას, თუ მათ ურთულდებათ თვითონ დააკმაყოფილონ შესაბამისი მოთხოვნები. სესხის შეფასება ხდება კომერციული ბანკების ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან. საკრედიტო გარანტია გაიცემა სესხის ძირი თანხის არაუმეტეს 90%-ის ოდენობით, კომერციული ბანკის მიერ გაცემულ სესხებზე. სესხის მოცულობა 500000-5000000 ლარია კომერციული ბანკების შემთხვევაში, ხოლო მიკროსაფინანსოების შემთხვევაში 20000-5000000 ლარი. გარანტიის ვადა მაქსიმუმ 10 წელია.[<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/>]

უნდა აღინიშნოს, რომ „აწარმოე საქართველოში“ მოიცავს კომპონენტს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. საკრედიტო გულისხმობს კომერციული ბანკების მხრიდან ამ პროექტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსებას სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ იხსნება ახალი საწარმო, წარმოება უნდა დაიწყოს 24 თვის მანძილზე კრედიტის გაცემიდან, ხოლო თუ საწარმო უკვე არსებობს, ამ შემთხვევაში 12 თვის მანძილზე. ამ დროს ხდება კრედიტის სრული პროცენტის 10%-ის რაოდენობით თანადაფინანსება, სესხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა მთლიანი სესხის 50%-ის ოდენობით (არ უნდა აღემატებოდეს 2500000 ლარს). ეს პირობები ვრცელდება საბანკო კრედიტებზე 150000 ლარიდან 5000000 ლარამდე.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში პრობლემების აშკარა არსებობის გამო სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას ფინანსებზე წვდომის გაზრდა წარმოადგენს. სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს:

- ფინანსური განათლების გაუმჯობესება-საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების ორგანიზება, რაც მცირე და საშუალო საწარმოებს დაეხმარება მოიზიდონ ფინანსური სახსრები, სწორად განკარგონ ისინი, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე.
- მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) დანერგვაში-სტანდარტების გამოყენება ანგარიშგებაში, საკუთარი ანგარიშების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ამის საშუალებით ფინანსური რესურსის მოზიდვის გამარტივება.
- მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში-მისი საშუალებით საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია როგორ მოიზიდონ სახსრები ალტერნატიული წყაროებიდან (ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა).
- მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა-ერთი მხრივ ხელს უწყობს არსებული კომპანიების ზრდასა და

კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ დამწყებ საწარმოთა განვითარებას.

- მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის.
- მცირე და საშუალო საწარმოთა გრანტებით დაფინანსების გაუმჯობესება [საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, წლიური ანგარიში, 2018]

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს საქართველოშიც მრავალი პრობლემა აქვთ. ყველაზე მთავარი სირთულე ფინანსური სახსრების მოძიებას უკავშირდება, ასევე პრობლემაა კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე, ინოვაციებსა და კველევებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე, დაბალი პროდუქტიულობა და ა.შ. ამის გამო, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამებისა და პროექტების არსებობა, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს სწორად წარმართონ საქმიანობა.

მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობის მხრივ წინ გადაიდგა ნაბიჯი, როცა 2018 წლიდან საქართველოში დაბეგვრის ახალი რეჟიმი ამოქმედდა. ამ რეჟიმის მიხედვით მცირე ბიზნეს საწარმოები დაიბეგრებიან 1%-ით 5%-ის ნაცვლად.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობს მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. რომლებიც ხელს უწყობენ მცირე და საშუალო საწარმოებს აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა, მიიღონ ინფორმაცია ბიზნეს საქმიანობის შესახებ, გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება წარმოადგენს.

მეწარმეობის ხელშეწყობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული პროგრამაა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც სხვადასხვა მიმართულებას ავითარებს. ერთ-ერთია მცირე ბიზნესის ხელშეწყობაც. გარდა ამისა პროგრამა ცდილობს ბიზნეს ერთეულებს გაუმარტივოს ფინანსების მოპოვების შესაძლებლობა. სხვა მიმართულებებს დაემატა ბალნეოლოგიური კურორტების

ინდუსტრია და ტურისტული სერვისების ინდუსტრია, რაც ქვეყნისთვის ნამდვილად პრიორიტეტული მიმართულებაა. პროექტის წარმატებულობაზე მის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობა მეტყველებს.

2.2 კომერციული ბანკების როლი მცირე ბიზნესის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფაში

ბიზნესის დასაფინანსებლად ერთ-ერთი გზა კომერციული ბანკებიდან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან კრედიტის აღებაა. ბანკებს მნიშვნელოვნად შეუძლიათ ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატებულ ფუნქციონირებას. თუმცა კრედიტორები ცდილობენ საკუთარ თავზე არ აიღონ მაღალი რისკი. შესაბამისად ითხოვენ გარკვეულ გარანტიებს, რათა დარწმუნდნენ, რომ გაცემული სესხის თანხას უკან დაიბრუნებენ.

თუ გადავხედავთ ეროვნული ბანკის მონაცემებს, ვნახავთ, რომ კომერციული ბანკების წმინდა მოგება ყოველწლიურად იზრდება. 2018 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 915 მილიონ ლარს გაუტოლდა. წინა წლის მონაცემს იგი 45 მილიონი ლარით აჭარბებს, რაც 5.2%-იანი მატებაა. 2017 წელს მოგება ასევე გაზრდილია წინა წელთან შედარებით.

წმინდა მოგების მაჩვენებლის გაზრდა დამოკიდებულია საკრედიტო პორტფელის ზრდაზე. ნბანკების მხრიდან გაცემული სესხების რაოდენობა განსხვავებულია სეგმენტების ჭრილში. როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების შემთხვევაში, მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს მსხვილ ბიზნეს საწარმოებთან შედარებით ნაკლები წვდომა აქვთ სესხებზე.

ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2019 წელს კომერციული ბანკების მთელი საკრედიტო პორტფელი 30.9 მილიარდი ლარის ტოლი იყო. მისი განაწილება სეგმენტების მიხედვით პროპორციული არ არის. (იხილეთ ცხრილი 2.2.1, საკრედიტო პორტფელის კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით):

ცხრილი 2.2.1 საკრედიტო პორტფელის კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით


	2015		2016		2017		2018		2019	
	მლნ ლარი	წილი%	მლნ ლარი	წილი	მლნ ლარი	წილი	მლნ ლარი	წილი	მლნ ლარი	წილი
კორპორატიული სესხები	5954	37%	6508	34%	6824	31%	7927	30%	10,492	34%
მცირე და საშუალო ბიზნეს სესხები	3621	23%	3992	21%	5176	23%	6525	25%	7,859	25%
საცალო სესხები	6438	40%	8402	44%	10282	46%	11793	45%	12,541	41%
სულ	16013	100%	18902	100%	22282	100%	26245	100%	30,892	100%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი პორტფელის ყველაზე დაბალი წილი მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს უჭირავთ (25%), ამის შემდეგ მოდის კორპორატიული სეგმენტი (34%) და საცალო სეგმენტი (41%). თუ მონაცემებს დინამიკაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ 2018 და 2019 წლებში მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების წილის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების მაჩვენებელი 2016 წლის შემდეგ ყოველწლიურად ზრდადი მაჩვენებლით ხასიათდება. კორპორატიული სესხების წილიც ასევე გაიზარდა 2017 და 2018 წლებთან შედარებით, მაგრამ შემცირდა საცალო სესხები. საცალო სესხების შემცირების ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს 2019 წლის რეგულაცია, რის მიხედვითაც გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე სესხები არ უნდა გაიცეს.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ პრობლემად მაღალი საპროცენტო განაკვეთი სახელდება. 2019 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი შემცირდა მცირე და საშუალო და კორპორატიული სეგმენტის სესხებზე. (იხილეთ გრაფიკი 2.2.1, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში):

გრაფიკი 2.2.1 საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში შემცირდა უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით ლარის სესხებზე. 2019 წლის დასაწყისში ეროვნული ვალუტის სესხების პროცენტებიც შემცირდა, თუმცა სექტემბრის თვიდან მან ზრდა დაიწყო.

თუ საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლებს დავაკვირდებით სეგმენტების მიხედვით, ვნახავთ, რომ მდგომარეობა ამ კუთხითაც განსხვავებულია. (იხილეთ გრაფიკი 2.2.2, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით):

გრაფიკი 2.2.2 საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც უკვე აღვნიშნე, მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებისთვის ერთ-ერთ სირთულეს კორპორატიულ სექტორთან კონკურენცია წარმოადგენს. მსხვილი ბიზნეს კომპანიები ბანკებისთვის უფრო სანდო არიან და მათზე უფრო დაბალ პროცენტში

გაცემენ სესხებს. გრაფიკიდან ჩანს, რომ ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებზე 2019 წლის დასაწყისიდან მცირდებოდა(შეინიშნება მცირე რყევებიც), დეკემბრის თვეში კი ამ წლის მანძილზე მინიმალურ დონეს მიაღწია და დაახლოებით 10%-ს მიუახლოვდა. მცირე და საშუალო ბიზნეს სესხების საპროცენტო განაკვეთი განსაკუთრებით გაიზარდა 2017 წლის ოქტომბრიდან და დაახლოებით 14%-ს შეადგენდა, მაგრამ 2018 წლიდან კლებადი ტენდენცია შეინიშნება.

საქართველოში კომერციული ბანკები მცირე და საშუალო მეწარმეებს გარკვეულ პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობენ. თიბისი ბანკი მხარს უჭერს სტარტაპების განვითარებას სპეციალურად შექმნილი პროგრამით „სტარტაპერი“. ამ პროგრამის ფარგლებში ბანკი ბიზნესს სთავაზობს: სტარტაპ რესტორანი-ბანკი გაცემს სესხს სპეციალური საშეღავათო პირობებით რესტორნის გასახსნელად; სტარტაპ სესხი, რომლის პირობებიც შემდეგია: სესხის თანხა 200000 ლარამდე, უზრუნველყოფის გარეშე შეიძლება გაიცეს 50000 ლარამდე სესხები, ხოლო მაქსიმუმ 15000 ლარის სესხი თანამონაწილეობისა და უზრუნველყოფის გარეშე, სესხის ვადა 7 წელი შეიძლება იყოს მაქსიმუმ, საშეღავათო კი 1 წლის მანძილზე მოქმედებდეს, შესაძლებელია ინდივიდუალური გრაფიკის აგება. ბიზნეს სუბიექტმა შეიძლება ისარგებლოს პროფესიონალების კონსულტაციებით ისეთ თემებზე, როგორებიცაა ბრენდინგი, გაყიდვები, ფინანსები, მენეჯმენტი, გადასახადები,ციფრული მარკეტინგი. სტარტაპ სასტუმრო სესხი-არსებული ან ახალი სასტუმროს განვითარებას ემსახურება, სტარტაპ აგრო სესხი-აგრო მეწარმეობის განვითარებას. ასევე თიბისი ბანკი სტარტაპებს, რომელთა რეგისტრაციის ვადა 6 თვეზე მეტი არ არის, მიმდინარე ანგარიშის გახსნას უფასოდ სთავაზობს ელექტრონულად ან ფილიალში მისვლით. სპეციალურ პირობებს სთავაზობს ბიზნეს ბარათზე, რომლის წლიური მომსახურების საკომისიოც 75 ლარი იქნება 500 ლარის ნაცვლად(სტარტაპებს, რომელთა რეგისტრაციის ვადა 6 თვეზე მეტი არ არის). ინტერნეტბანკისა და TBC Digipass-ის გააქტიურება უფასოა სტარტაპებისთვის, რომელთა რეგისტრაციის ვადა 6 თვეზე მეტი არაა. TBC Digipass ეხმარებათ ბიზნეს სუბიექტებს დაავტორიზონ ის ტრანზაქციები მარტივად, რომლებიც ინერნეტ ბანკიდან შესრულება. ყოველწლიური საკომისიო კი სტარტაპებისთვის 60 ლარია.

სტარტაპერი დამწყები ბიზნესების განვითარებას საბანკო პროდუქტების გარდა სტარტაპ განათლებითაც უწყობს ხელს. შექმნილია სპეციალური პროგრამები ცნობიერების ასამაღლებად, ასეთებია სხვადასხვა ტრენინგები, ინდივიდუალური კონსულტაციები, დისკუსიები. სტარტაპ მეწარმეებს შეუძლიათ შეხვდნენ დარგის სპეციალისტებს და მიიღონ რჩევები საკითხებზე: ფინანსები, გადასახადები, ინოვაციების მართვა, ბიზნეს ქოუჩინგი, დაგეგმვა და მართვა, ბიზნეს მოდელირება და გადაწყვეტილებები და ა.შ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2019 წლიდან თიბისის მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტებს ბანკმა საშუალება მისცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსი IFRS for SME გაეცლოთ. ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ ახალი კანონის მიხედვით, მცირე და საშუალო მეწარმეებმა უნდა მოამზადონ ანგარიშგება, რომელის გარკვეულ სტანდარტებს შეესაბამება. თიბისი ბანკი საკუთარ კლიენტებს დაეხმარა ზუსტად გაეაზრებინათ ის თუ რა ევალეობდათ. ასეთი კურსი მათ მისცემს შესაძლებლობას მოამზადონ ანგარიშგება, რომელიც მომავალში დაეხმარებათ გაზარდონ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

თიბისის სტარტაპერი ხელს უწყობს დამწყებ კომპანიებს საკუთარი პროდუქცია განათავსონ Mystartup.ge-ზე, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდი სტარტაპ მარკეტია. ამით კი მრავალი უპირატესობის მიღება შეუძლიათ, მაგალითად სტაბილური და გამართული გაყიდვების არხი, ონლაინ გადახდები, საკურიერო მომსახურება მთელს საქართველოში, კონსულტაციები და ა.შ.

ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით თიბისი ბანკის ორგანიზებით 2019 წელს გაიმართა ბიზნეს დაჯილდოვება. გამარჯვებულები გამოვლიდნენ ხუთ ნომინაციაში: „საუკეთესო პროდუქტის ან მომსახურების შექმნისთვის“-თუ პროდუქტმა ან მომსახურებამ დიდ წარმატებას მიაღწია, გაზარდა მომხმარებელთა რაოდენობა და გაყიდვები, აამაღლა ხარისხი; „საუკეთესო სტარტაპისთვის“-სტარტაპები, რომლებიც 2 წელზე ნაკლებია ფუნქციონირებს. გამარჯვებისთვის მთავარი კი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ზრდის აშკარა შესაძლებლობა, ბრენდულობა იყო. „თანამშრომლებზე განსაკუთრებული ზრუნვისთვის“-მთავარია კომოანია

თანამშრომელს უქმნიდეს სასიამოვნო გარემოს, ზრუნავდეს მასზე, ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებას. „საუკეთესო ინოვაციებისთვის“-იმ ბიზნესებისთვის, სადაც ინოვაციურობა და თანამედროვე ტექნოლოგიები უმნიშვნელოვანესია, იქმნება ინოვაციური პროდუქტი, არსებობს ინოვაციური მართვის მოდელი. „გამორჩეული სოციალური პასუხისმგებლობისთვის“-ზრუნავს გარემოზე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში შეაქვს წვლილი, აუმჯობესებენ კულტურას.

საქართველოს ბანკიც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას. ბანკი სპეციალური პირობებით გასცემს აგრო სესხს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მეურნეობის გაფართოვება. სესხის უპირატესობაა, რომ შეიძლება სასურველი გრაფიკის მორგება, ძირსა და პროცენტზე საშეღავათო პერიოდის განსაზღვრა აგროციკლიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, საქართველოს ბანკი ხელს უწყობს ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებას. ბანკის სერვისცენტრებიდან შესაძლებელია რეგისტრაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე და მეწარმეებს საჩუქრად მიმდინარე ანგარიში ეხსნებათ, იღებენ Cash Card-ს, ინტერნეტბანკს და აქტიურდება შეტყობინების სერვისი.

საქართველოს ბანკი ბიზნეს სესხებს გასცემს მინიმალური 500 ლარიდან. დაფარვის გრაფიკის მორგება შესაძლებელია ბიზნესის შემოსავლებსა და სტრუქტურაზე. შესაძლებელია კლიენტმა აიჩიოს ყოველთვიური ფიქსირებული გადახდები, ან ჰქონდეს შეღავათები როგორც პროცენტზე, ასევე ძირზე თუ ბიზნესი სეზონურ შემოსავლებზეა დამოკიდებული, საბრუნავი საშუალებების ან საქმიანობის დასაფინანსებლად კი შესაძლებელია საკრედიტო ხაზის ათვისება. თუ სესხის თანხა 40000 ლარზე ნაკლებია, საჭიროა მხოლოდ თავდებობა.

საქართველოს ბანკმა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით 2018 წელს შემოიღო ბიზნესბანკირის მომსახურება. ბიზნესბანკირი არის პირადი საკონტაქტო პირი მცირე და საშუალო ბიზნეს საწარმოებისთვის და მისი მთავარი ამოცანაა ბიზნესის ხელშეწყობა.

საქართველოს ბანკი განსაკუთრებულად უწყობს ხელს ქალ სტარტაპერებს. ბანკის მხარდაჭერითა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გამოყოფილია 25 მილიონი ლარი. პროექტში ჩართვისთვის საჭიროა იურიდიული

პირის ან ინდემწარმის სტატუსი, 22 წლის ზემოთ ქალბატონი, რომელიც იქნება კომპანიის დირექტორი. შესაძლებელია სესხის სპეციალური პირობებით მიღება და ბანკის მხრიდან 1 წლის მანძილზე უფასო მომსახურება საოპერაციო კუთხით. სესხის ლიმიტებია 10000-1000000 ლარი, ვადა კი 5 წელი.

ამრიგად, ფინანსური სექტორის მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია. საქართველოში ამ მხრივ აშკარად არსებობს პრობლემები, რაც იმაშიც ჩანს, რომ ბანკების მთლიან საკრედიტო პორტფელში მცირე და საშუალო ბიზნეს სესხებს ყველაზე დაბალი წილი აქვთ. ამ პრობლემის მიზეზად კორპორატიულ სექტორთან კონკურენცია შეიძლება ჩავთვალოთ. თუმცა ბოლო ორი წლის მონაცემის მიხედვით მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების სესხების წილი გაზრდილია. ასევე საკმაოდ დიდი პრობლემაა მცირე და საშუალო სეგმენტის სესხების საპროცენტო განაკვეთის მაღალი მაჩვენებელიც.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მხრივ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კომერციული ბანკები სპეციალურ პროგრამებსა და პირობებს იმუშავებენ ბიზნესის განვითარებისთვის. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული პროგრამაა „სტარტაპერი“, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ეხმარება სტარტაპებს. ასევე თიბისი ორგანიზებას უწევს ბიზნეს დაჯილდოვებებს, სადაც გამარჯვებულები საკმაოდ დიდ ხელშეწყობას იღებენ. თიბისი ბანკს შემუშავებული აქვს პროგრამები, რომლებიც ბიზნეს სუბიექტებს კვალიფიკაციის ამაღლებასა და სპეციალისტების მხრიდან რჩევებისა და კონსულტაციების მიღებაში უწყობს ხელს.

თავის მხრივ საქართველოს ბანკიც ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესებს და მათ სპეციალური პირობებით აძლევს კრედიტს. დაფარვის გრაფიკს და საშეღავათო პერიოდს კი ბიზნესის შემოსავლებზე არგებს. ამით მეწარმეებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს. ასევე ბანკი ხელს უწყობს ქალების ჩართვას მეწარმეობაში.

თავი III. საქართველოს ფინტექ ინდუსტრია მისი შესაძლებლობანი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით

3.1 ფინანსური ტექნოლოგიები საქართველოში და მათი განვითარების შესაძლებლობანი

მთელი განვითარებული სამყარო საკუთარი ყურადღების დიდ ნაწილს ახლა ფინანსური ტექნოლოგიებს უთმობს. ყველა წამყვანი ქვეყანა საკუთარი რესურსების მობილიზებას სწორედ ამ კუთხით ცდილობს და წამახალისებელი პროგრამებით სურს ახალგაზრდობა ამ ინდუსტრიით დააინტერესოს. ყველა ქვეყანა რომელიც მოახერხებს, რომ დროს ფეხი აუწყოს, აუცილებლად დაწინაურდება საერთაშორისო ასპარეზზე. იმისთვის, რომ ამ ქვეყნებს შორის საქართველოს მოხვდეს მეტი ინფორმაცია და მონდომება უნდა მოდიოდეს მოსახლეობის და ოფიციალური პირების მხრიდან. საქართველოს უკვე დგამს ნაბიჯებს ამ მიმართულებით და ფინტექის ინდუსტრიის პირველადი ნიშნები უკვე შეიმჩნევა საქართველოს მასშტაბით თუმცა იმისთვის რომ ამ ინდუსტრიას თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოყენების საშუალება მიეცეს რამდენიმე სწორი ნაბიჯის გადადგმა არის საჭირო. უმთავრესი მაინც ცნობიერების ამაღლება და ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების მიცემაა.

ფინანსური ტექნოლოგიები მოსახლეობას აძლევს საშუალებას, რომ ფინანსური ტრანზაქციები ტექნოლოგიების მეშვეობით უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი გახადონ. ფინანსური ტექნოლოგიებს ბიზნესის ფინანსური სფერო დიდ წილად ონლაინ სივრცეში გადააქვთ ან სხვა დამატებითი ტექნოლოგიების დამატებით ამარტივებენ გადახდის პროცესს. ფინანსური ტექნოლოგიების მეშვეობით შეიძლება ახლო მომავალში სულაც გაქრეს ბანკებთან თანამშრომლობის საჭიროება და მოსახლეობამ მხოლოდ ამ ტექნოლოგიების გამოყენებით მოახერხოს ყველა საკუთარი ფინანსური სურვილის ასრულება. ტრადიციული საბანკო სერვისებიც შეიძლება ფინანსური ტექნოლოგიებით ჩანაცვლდეს, რადგან თუ თავად ბიზნესები ითანამშრომლებენ ასეთ სტარტებთან მაშინ შუამავლის აუცილებლობა შემცირდება, რაც რეალურად დღეს ბანკების მოვალეობაა.


ბანკები და ფინტექები არ არის აუცილებელი ერთმანეთის ურთიერთოგამომრიცხავ ცნებებად აღვიქვათ, რადგან მათ რა თქმა უნდა ბერვი საერთო აქვთ, ორივე მეთოდს ასევე აქვს ისეთი ნაკლოვანებები, რომელთა შევსებაც მხოლოდ მათ შორის თანამშრომლობით არის შესაძლებელი. განვითარებად ქვეყნებში, სადაც ბანკები მოქალაქეებს სტანდარტულ სერვისებზე წვდომას უზღუდავენ, მოსახლეობა იძულებული იყო სხვადასხვა ზომებისთვის მიემართა, რის შედეგადაც გაჩნდა ბევრი კომპანია, რომელიც მოსახლეობას მობილური საშუალებით თანხების გადახდის საშუალებას აძლევს, მოსახლეობა იყენებს QR კოდებს ან უბრალოდ მათ ექაუნთებს რათა მაღაზიებში თანხის გადახდა ბანკის და ბარათების გამოყენების გარეშე შეძლონ. ფინტექები ასევე ამცირებს ქაღალდის ფულის გამოყენების აუცილებლობას და გადახდის პროცესს უფრო სწრაფს ხდის.

ჩვენ უკვე ვხედავთ რამდენიმე ფინტექის გამოვლინებას საქართველოში. ჩვენთან მოსახლეობა აქტიურად იყენებს მობაილ ბანკინგის სერვისებს და დღესდღეობით ეს სიახლე უკვე სტანდარტულ მომსახურებად არის ქცეული. მობაილ ბანკინგი, აპლიკაცია რომელიც მეშვეობითაც მოსახლეობას შეუძლია მარტივად შეამოწმოს საკუთარი მიმდინარე ანგარიში, განახორციელოს სხვადასხვა ფინანსური ოპერაციები, გადარიცხვები და ზოგადად ჰქონდეს მეტი კონტროლი საკუთარ ფინანსებზე ძალიან დიდი ნაბიჯია ნებისმიერი ბანკისთვის და სწორედ ამიტომ ფინანსური ინოვაციების ამ ნაწილს კიდევ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

დღესდღეობით ყველა დიდ ბანკს საქართველოს მასშტაბით აქვს მობაილ ბანკინგი, ე.წ e-Wallet-ფუნქციაც, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას ბარათის გარეშე, პირდაპირ მობილურის მეშვეობით გადაიხადოს თანხა. ფინტექებიც სწორედ ასეთ გამარტივებულ პროცედურებს სთავაზობენ მომხმარებლებს თუმცა ისინი ბანკებისგან განსხვავებით არ მოგთხოვენ ბარათის გაკეთებას და ის დარეგისტრირებას ონლაინ საფულეში. ყველაზე ხშირ შემთხვევაში ასეთი სერვისები თქვენ მიერ ანდა მობილურის ნომერს საჭიროებს და ტრანზაქციები შემდეგ გამარტივებულია ყველა იმ პირთან ვისაც ასევე აქვს ეს მომსახურება, ან იმ შემთხვევაში თუ საუბარია მობილურ გადარიცხვებზე, თქვენ უბრალოდ მიმღების მობილური ნომერი დაგჭირდებათ, რათა მას თანხა მიუვიდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაციები საგადასახდო ბარათებით - ტრანზაქციების რაოდენობა და გადახდების წარმოება ბარათების საშუალებით, საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება. (იხილეთ გრაფიკი 3.1.1, ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის ოპერაციების რაოდენობის წილობრივი მაჩვენებლები):

გრაფიკი 3.1.1 ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის ოპერაციების რაოდენობის წილობრივი მაჩვენებლები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019

როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში ბარათით გადახდის ოპერაციების რაოდენობა ყოველწლიურად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა ფულის განაღდება სულ უფრო მცირდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ნაღდი ფულის შემცირების ტენდენცია აქტიურად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში და 2019 წელს 79% სწორედ უნაღდო გადახდას უჭირავს, მხოლოდ 21% კი თანხის გატანას ბანკომატებიდან.

წინა წლებთან შედარებით იმატებს ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციების რიცხვიც. (იხილეთ გრაფიკი 3.1.2, ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციები):

გრაფიკი 3.1.2 ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019

OPPA - ელექტრონული საფულე, რომლის მისიაა თანამედროვე ელექტრონული კულტურის დამკვიდრება საქართველოში, ფულის მართვისა და ფულადი ტრანზაქციების განხორციელების გაადვილება. ბრენდი შეიქმნა, SJO -ს მიერ რომელიც სწრაფი გადახდის ტერმინალებს ფლობს როგორცაა PayBox და ონლაინ გადახდის ვებგვერდებს საქართველოს მასშტაბით. ელექტრონული საფულეს შექმნის იდეა იყო ის, რომ მომხმარებლებისთვის შეეთავაზებინათ თანამედროვე და დაცული სივრცე არამხოლოდ ტრანზაქციებისთვის არამედ ფულის მოძრაობის კონტროლისთვის.

Unipay - კომპანია უნიფიკირებული არის ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც თანხების მიღება/გაგზავნის საშუალებას იძლევა სწრაფი და უსაფრთხო მეთოდით. „ნებისმირი ზომის ბიზნეს სუბიექტები, რომელსაც უკვე აქვს, ან ახლა იწყებს საქმიანობას, უნიფიკირებული ელექტრონული კომერცია საშუალებას მოგცემთ ნაკლები დანახარჯებით წამოიწყოთ ინტერნეტ გაყიდვები და გაზარდოთ საკუთარი ბიზნესი.“ - ვკითხულობთ Unipay-ს განაცხადში. [www.unipay.to] გარდა ამისა, სარგებლობა შეუძლიათ ჩვეულებრივ ფიზიკურ პირებს, შესაძლებელია გადასახადების დაფარვა, თანხის გაგზავნა მეგობართან ან ოჯახის წევრებთან რამდენიმე წამში, გადარიცხული თანხის მიღებისთვის კი საჭიროა მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მისამართი.

საბანკო სექტორი სულ უფრო აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს ფინანსური სერვისების განსახორციელებლად და კონკურენციას უწევს მზარდ ფინტექ კომპანიებს. საქართველოში იქმნება ისეთი ინოვაციური ფინტექ პროდუქტები, როგორცაა „კნიკი“, „თი-ბოტი“ და ა.შ. ბანკებისა და სხვა ბიზნეს-წარმომადგენლების სურვილი ძირითადად

ერთია - მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯით მეტი მოგების მიღება. ტექნოლოგიების განვითარებამ ამ მხრივ საკუთარი წვლილი შეიტანა. წინა წლებში ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად ბევრად მეტი სერვისცენტრი და, შესაბამისად, მეტი პერსონალის დაქირავება ხდებოდა საჭირო. დღეს შესაძლებელია ამ ტიპის დანახარჯების სულ უფრო შემცირება ბიზნეს-სექტორისთვის, რაც დიდწილად ფინანსური ოპერაციების გაციფრულების დამსახურებაა. დღესდღეობით კლიენტებს აღარ სჭირდებათ სერვის-ცენტრებში მისვლა თანხის გადასახდელად. ამისთვის არსებობს ონლაინ აპლიკაციები და საიტები, რომელთა გამოყენებითაც მომხმარებელი რამდენიმე წამში ასრულებს სასურველ ოპერაციას.

როგორც თიბისი ბანკი აცდახებს გაციფრულება მომავალია! საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს მობაილბანკი, მობილური გადახდები, ინტერნეტ ბანკი, მობილური აპლიკაციები, BIG DATA - მონაცემთა შეგროვება და დამუშავება, ხელოვნური ინტელექტის ჩართულობა. გარდა ამისა, თიბისი ბანკი აქტიურად მუშაობს Open API-ზე ეკოსისტემებისთვის My.ge/Vendoo/TBCPay/TBC Capital და გარე დეველოპერებისთვის.

ფინანსური ოპერაციების გაციფრულებას მრავალი სერვისის შექმნა მოჰყვა. მაგალითად, თიბისი ბანკს აქვს ვებგვერდი tbcpay.ge, რომელიც საქართველოში არსებული ყველა გადასახადის ერთ სივრცეში მოქცევის შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს. ეს შეიძლება იყოს კომუნალურები თუ სხვადასხვა სესხები. მომხმარებელს შეუძლია რამდენიმე წამში დაფაროს ყველა ვალდებულება ერთი სივრციდან. დღეს TBC PAY მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულების, ფინტექ-ინდუსტრიის წარმომადგენელია. ტრადიციული სერვისების გადახდის გარდა, TBC PAY-ით მაგალითად შეიძენთ კონცერტის ბილეთებს, იყიდით სამოგზაურო დაზღვევას, შეგიძლიათ მართვის მოწმობის გამოცდის ჯავშნის გაკეთება ან ზონალური პარკირების საშვის შემენაც, რაც თბილისისთვის სიახლეა. სწრაფი ჩარიცხვის აპარატებს სხვადასხვა ტიპის ბიზნესი უკვე დისტანციურ გაყიდვის ერთ-ერთ ეფექტურ არხად განიხილავს, ბანკი კი მათ საჭიროებებს მაქსიმალურად ერგება, ემსახურება როგორც ასობით პატარა კომპანიას, რომელთა სერვისები თიბისი ფეის არხებშია ჩართული, ამასთანავე მსხვილ ბიზნესებს.

ბუნებრივია, ფინანსური ოპერაციების გაციფრულების ტენდენციამ საქმე გაუმარტივა ბიზნეს სექტორსაც, რომელსაც საქმიანობის მართვა უკვე კომპიურერებიდან ან სმარტფონიდან შეუძლია. თიბისი ბანკის ინტერნეტბანკს აქვს სერვისი, რომლის წყალობითაც ბიზნესის მფლობელებს შეუძლიათ გააკონტროლონ საკუთარი კომპანიების შემოსავლები, გასავალი, მოგება და თავიანთი საქმიანობაც გააანალიზონ. ამასთანავე, მათ შეუძლიათ სახელმწიფო გადასახადები და ხელფასები ერთი სისტემიდან გასცენ. ეს შესაძლებლობა საქმეს უმარტივებს ბუღალტრებსაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაცია, რომელიც ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში გამოჩნდა, ხელოვნური ინტელექტია. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ თიბისი ბანკის პირველი ქართული ჩეტბოტი „თი ბოტი“, რომლის დახმარებითაც ფინანსური ოპერაციების შესრულება ფეისბუქის მესენჯერიდან შეიძლება. Ti Bot - საბანკო ბოტი, მომხმარებლებს სთავაზობს ტრანზაქციების განხორციელებას, ინფორმაციის მიღებას ანგარიშზე არსებული ბალანსის შესახებ, უახლოესი TBC ბანკის ფილიალის და ტერმინალის მდებარეობის შესახებ და სხვა. B Bot კი არის სადაზღვეო ბოტი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს შეიძინოს სადაზღვეო პოლისი დისტანციურად, ბი ბოტს იყენებს TBC დაზღვევა.

უნდა აღინიშნოს საქართველოში გამოკვეთილი კიდევ ერთი ახალი და მნიშვნელოვანი ტენდენცია: „ბანკი ფილიალების გარეშე“ - ეს არის სლოგანი აპლიკაციისა, სახელად Space. სფეისი არის ქართველი ახალგაზრდების მიერ შექმნილი აპი. იგი თავიდან ბოლომდე ონლაინ ბანკის ფუნქციებს ასრულებს, ისე, რომ არც ერთი ფილიალი არ აქვს და არც მომავალში ექნება. სფეისი პირველი სრულიად ციფრული ბანკია საქართველოში. მისი მუშაობის პრინციპი მარტივია - საჭიროა მომხმარებელმა გადმოწეროს აპი, ამის შემდეგ დარეგისტრირდეს, საკუთარი საბანკო ანგარიშის ინტეგრაცია შეასრულოს და ტრადიციული ბანკის ყველა სერვისით სარგებლობა შეეძლება. სფეისი სტიკერი - სტიკერის საშუალებით შესაძლებელია უკონტაქტო გადახდის წარმოება და ბანკომატიდან თანხის განაღდება. QR განვადება - ვებ გვერდზე ხდება სასურველი ნივთის შერჩევა, შერჩევის შემდეგ ხდება QR კოდის გამოყენება რის შედეგადაც, მომხმარებელი მიიღებს ინფორმაციას განვადების პროცესის შესახებ. QR

განვადების უპირატესობა ის არის, რომ მთლიანი პროცესი ონლაინ ხდება, რაც მომხმარებლის დროსა და ენერჯიას ზოგავს.

2018 წელს ფინტექ ჰაკათონის გამარჯვებული გამარტივებული გადარიცხვების აპლიკაციით გახდა გუნდი „QR Tool“. აპლიკაცია იყენებს QR ტექნოლოგიას და მომხმარებელს აძლევს საშუალებას თანხა პირდაპირ, QR კოდის დასკანერებით გადარიცხოს. ახლებური ტექნოლოგია უფრო კომფორტულს გახდის როგორც ე.წ. P2P გადარიცხვებს, ისე - მცირე ბიზნესთან ანგარიშსწორებას. 2018 წელსვე საქართველოს ბანკმა ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით დანერგა QR PAY - გადახდის სრულიად ახალი სისტემა. QR PAY საქართველოს ბანკის მიერ შემუშავებული გადახდის ინოვაციური მეთოდია, რომელიც იმ მომსახურების და სავაჭრო ობიექტებს, სადაც მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდებოდა გადახდა, შესაძლებლობას აძლევს, მომხმარებელმა მყისიერი უნაღდო ანგარიშსწორებით გადაიხადოს. ამ მეთოდის გამოყენებით მცირე მეწარმეებმა მიიღეს გადახდის ტერმინალის ალტერნატიული სერვისი უნაღდო ანგარიშსწორებისთვის. იმისათვის, რომ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს შესძლებოდათ QR-ით სარგებლობა, უნდა მიემართათ საქართველოს ბანკის ნებისმიერი ფილიალისთვის და სრულიად უფასოდ ჩაერთვებოდნენ QR PAY-ს გადახდის სისტემაში. ბანკი შეღავათს აწესებდა მცირე მეწარმეებისთვის: QR PAY-ს გადახდის სერვისით სარგებლობა ხელშეკრულების დადებიდან 1 წლის მანძილზე სრულიად უფასო იყო. 1 წლის შემდეგ კი, მხოლოდ სავაჭრო ბრუნვაზე დამოკიდებული საკომისიოს გადახდა მოუწევთ. ეს კი მცირე ბრუნვის მქონე მეწარმეებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათია. დღეს QR გადახდებით სარგებლობა შეუძლიათ თიბისი ბანკის კლიენტებსაც.

აღსანიშნავია, რომ თიბისი ბანკი ცდილობს მცირე და საშუალო კომპანიებს დაეხმაროს, მოიპოვონ მათთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და აითვისონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები. სპეციალურად ამისთვის შექმნილია www.businessstool.ge სივრცე - ონლაინ პლატფორმა. მისი მიზანია ეკოსისტემის შექმნა და ბიზნესის დაკავშირება სერვისებისა და ტექნოლოგიური პროდუქტების მომწოდებლებთან. კომპანიებს შეუძლიათ მოძებნონ, შეადარონ და ამოირჩიონ საკუთარი ბიზნესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა: მაგალითად

კომპიუტერული პროგრამა, მობილური აპლიკაცია ან ვებ-სერვისი. პლატფორმა შექმნილია, ერთი მხრივ დეველოპერებისთვის და იმ პირებისთვის, რომლებიც ქმნიან პროგრამულ უზრუნველყოფებს ბიზნესისთვის. მეორე მხრივ კი კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ გახადონ ბიზნეს პროცესები ავტომატიზირებული, უფრო მარტივი და ეფექტური. ვებ-გვერდზე შესაძლებელია, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირად რეგისტრირება, რაც საშუალებას მისცემს დეველოპერებს თავად ატვირთონ ინფორმაცია საკუთარ პროდუქტებზე.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ფინანსური ტექნოლოგიების როლი საქართველოში თანდათან იზრდება. ბუნებრივია ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რაც ძირითადად ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება მოსახლეობაში, თუმცა კომპანიები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და ცდილობენ სრულად აითვისონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ძირითადად გაციფრულების შემთხვევები საბანკო სექტორში გვხვდება, სადაც უკვე აქტიურად მიმდინარეობს მომხმარებლის საჭიროებებზე მორგება, გადარიცხვების, გადახდების გამარტივება, მიმდინარეობს სესხების გაცემის გამარტივებაზე აქტიური მუშაობაც.

3.2 მცირე და საშუალო ბიზნესი დაკრედიტება ფინანსური

ტექნოლოგიების გამოყენებით და განვითარების პერსპექტივები

დღეს გლობალური ეკონომიკა კორონავირუსით გამოწვეული სტრესის ქვეშ მეტად არაპროგნოზირებად მდგომარეობაშია. 190-ზე მეტ ქვეყანაში პანდემია მძვინვარებს და უკვე კვალს ატყობს საზოგადოების ცხოვრების სტილს და ხარისხს.

ცხადია, უმთავრესი ამოცანა ახლა დაავადებასთან ბრძოლა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაა. მეორე მხრივ კი, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის მერყეობა ბიზნესისთვისაა გამოცდა - რამდენად მზადაა, რომ მალე აღმოაჩინოს შესაძლებლობები კრიზისის პირობებში და შეინარჩუნოს საქმიანობის უწყვეტობა. რეალურად, გადარჩენის არსი ისაა, რომ კრიზისის დამლევის სტრატეგია ბიზნესებმა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით განავითარონ - თავადაც გადარჩენენ და გადარჩენაში დაეხმარონ თავიანთ პროდუქტსა თუ სერვისზე დამოკიდებულ მომხმარებელს. რადგან სოციალური დისტანცირება და სახლიდან მუშაობა ამჯერად ყველაზე სწორი

გამოსავალი აღმოჩნდა პანდემიასთან გამკლავებისთვის, ონლაინ რესურსებმა, ხელმისაწვდომობამ დისტანციურ სერვისებთან და ზოგადად ინტერნეტ კავშირმა უალტერნატივო მნიშვნელობა შეიძინა. ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება ისედაც დიდწილად სწორედ ამისკენ იყო მიმართული და ერთგვარად, დროული ნიადაგი შეამზადა დღევანდელი კრიტიკული სიტუაციისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად და მათ დასახმარებლად აქტიურად გამოიყენება მათი დაკრედიტების ტრადიციული გზები. სახელმწიფომ შემოიღო გარკვეული ზომები, კერძოდ კომერციულ ბანკებს მიეწოდებათ 600 მლნ ლარის გრძელვადიანი რესურსი, ბიზნესის მხარდაჭერისთვის კი დამატებით გამოიყოფა 500 მლნ ლარი. ეს ნიშნავს, ბანკებს გაუჩნდებათ ხელმისაწვდომი ლარის შედარებით იაფი რესურსი, რაც, რა თქმა უნდა, გადაცემული იქნება პირველ რიგში ეკონომიკაში. ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით ქვეყნისთვის ძირითად სამიზნე ჯგუფად სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები განისაზღვრენ. სახელმწიფო გაამყარებს და ხელს შეუწყობს 2 მლრდ ლარის საკრედიტო პორტფელის გაცემას. რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მისცემს გარანტიის საშუალებას სესხის 90%-ზე. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, იმ მეწარმეებისთვის, რომლებსაც დაწყებული აქვთ გარკვეული პროექტები და ამ კრიზისულ ვითარებაში გადადგამენ ნაბიჯს ახალი მიმართულებების შესაქმნელად. ეს ეხება ახალ წამოწყებებს, თუმცა, იმ კომპანიებს, რომელთაც აქვთ ძველი სესხები, რესტრუქტურისაციის სახით სახელმწიფო შეეხიდება 30% გარანტირების ნაწილში.

ამასთანავე, სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში იზრდება სესხის და ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი, საქმიანობის სახეობები და საბრუნავი საშუალებების დაფინანსება; საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმი იცვლება, დაიწევს სესხის მინიმალური ზღვარი. სახელმწიფო მნიშვნელოვნად დაუჭერს მხარს პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. სახელმწიფო მზადაა დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც წამოწყებული ჰქონდათ გარკვეული მზა პროექტები, ან დღეს დაინახავენ ახალი პროექტების დაწყების შესაძლებლობას. თუ სესხის და ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდი იყო 24 თვე, გახდება 36 თვე.

ტურიზმთან დაკავშირებული დარგების ბიზნესსუბიექტებს 4 თვის (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი) ქონების და საშემოსავლო გადასახადები 1-ელ ნოემბრამდე გადაუვადდათ. ამ ბიზნეს სუბიექტებში იგულისხმება სასტუმროები და რესტორნები, ტურისტული სააგენტოები, სატრანსპორტო კომპანიები, ასევე საექსკურსიო საქმიანობით დაკავებული კომპანიები. აღნიშნული შეეხო 18 000 კომპანიას, რომელიც დღეს ოპერირებს საქართველოში და 50 000-ზე მეტ დასაქმებულ პირს. მთავრობის შეფასებით, ეს პოლიტიკა ოთხი თვის განმავლობაში ამ სექტორში დამატებით დატოვებს 100 მლნ ლარზე მეტ ფინანსურ რესურსს. ამასთან ერთად, ამოქმედდება სასესხო მომსახურების კომპონენტის საპროცენტო განაკვეთის დაფინანსების უკვე ძალზე კარგად აპრობირებული მექანიზმი. რაც ნიშნავს იმას, რომ ექვსი თვის განმავლობაში სასტუმროების ნაწილისთვის საპროცენტო განაკვეთს სახელმწიფო დაფარავს. ეკონომიკური სტიმულირების გეგმის ფარგლებში, სასტუმროების ზომა გაიზარდა და 4 ნომრიდან 50 ნომრამდე სასტუმროებისთვის საპროცენტო მომსახურებას სახელმწიფო დაფარავს. პრემიერის თქმით, ეს შეეხება დაახლოებით 2 000 სასტუმროს. [\[https://matsne.gov.ge/ \]](https://matsne.gov.ge/)

სოფლად მცხოვრებ ადამიანს, რომელიც გადაწყვეტს, ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას, სახელმწიფო 30 000 ლარის გრანტს გამოუყოფს. ასევე აღსანიშნავია მიკრო საგრანტო სისტემა, რომელიც სახელმწიფომ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა დაიწყო 5000 ლარიდან, შემდგომ გახდა 15 000, 20 000 ლარი და პანდემიის გავლენის შესამსუბუქებლად მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ეს ზღვარი 30 000 ლარამდე აწია.


გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სესხების გადავადების პროგრამა, რომელიც პანდემიის პერიოდში ბიზნესისთვის საკამოდ მნიშვნელოვანი შეღავათი აღმოჩნდა. მთავრობასთან შეთანხმებით კომერციულმა ბანკებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ფიზიკურ პირებს მიკრო, მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს და ამავე დროს მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებსაც გააჩნიათ ისეთი ბიზნესები, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების შეკრების ადგილებთან, ყველასთვის შეეთავაზებინათ სამ-თვიანი პროლონგაცია(გადავადება/პერიოდის გაგრძელება). როგორც პროცენტზე,

ასევე ძირზე ბანკებმა მომხმარებლებს შესთავაზეს არგადახდა. ყველას, ვისაც სურვილი ჰქონდა გაეგრძელებინა გადახდები, ამის შესაძლებლობა მიეცათ.

ასევე ამ პერიოდში თიბისიმ („თიბისიშენთვის“) შექმნა სპეციალური პლატფორმა ქართული ბიზნესების მხარდასაჭერად. თიბისის და ვენდუს ერთობლივი ინიციატივით, ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა მიეცა დონაციაში მიეღო მონაწილეობა და მხარი დაეჭირა თავისი საყვარელი ქართული კომპანიისათვის. ამისათვის, პლატფორმა tbc4u.vendoo.ge ამოქმედდა. მომხმარებლები გადარიცხული თანხის სანაცვლოდ, მათთვის საყვარელი კომპანიისგან ვაუჩერს იღებდნენ, რომელსაც ბიზნესების საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებისთანავე გაანაღდებდნენ. დონაციით შესაძლებელი იყო მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 100 ლარის გადარიცხვა. პროექტში ჩართვა კი ნებისმიერ ქართულ კომპანიას შეეძლო.

ბუნებრივია, პანდემიას ყველაზე ნეგატიური გავლენა ტურიზმის სფეროზე, ავიაციაზე, კაფეებსა და რესტორნებზე და მათთან დაკავშირებულ სექტორებზე ჰქონდა. თუმცა როგორც თიბისი კაპიტალის მიერ ჩატარებულ კვლევაში ვნახულობთ, რომელიც სწორედ პანდემიის პერიოდშია ჩატარებული, ვხედავთ, რომ ამ მიმართულებით მოხმარება თანდათან იზრდება. (იხილეთ გრაფიკი 3.2.1, უნაღლო დანახარჯები განთავსებასა და გარეთ კვებაზე):


გრაფიკი 3.2.1 უნაღლო დანახარჯები განთავსებასა და გარეთ კვებაზე



წყარო: თიბისი ბანკი, 2020

ადგილობრივი ტურიზმის ხარჯზე, 23-29 ივნისის კვირაში სასტუმროებში უნაღლო ხარჯვის წლიური ზრდა -79%-მდე გაუმჯობესდა, წინა ორი კვირის - 84%-თან და და -88%-თან შედარებით. გაუმჯობესება გრძელდება რესტორნებში დანახარჯებზეც.

ბოლო 6 კვირის განმავლობაში წლიურმა ზრდამ -70%, -62%, -47%, -40%, -34% და -29% შეადგინა.



წყარო: თიბისი ბანკი, 2020

თუ ვნახავთ ყოველკვირეულ დინამიკას 21 მაისიდან 1 თვის განმავლობაში, ვნახავთ, რომ ყველაზე მეტად მოხმარება შემცირებული იყო სასტუმროების, რესტორნების, ფიტნესის მიმართულებით, თუმცა ბოლო პერიოდში აქაც გაუმჯობესებულია მდგომარეობა.

პანდემიის პირობებში კიდევ უფრო აშკარა გახდა ფინტექის როლი და საჭიროება. კომპანიებისთვის, რომლებიც ღრუბლოვანი ტექნოლოგიურ გადაწყვეტას იყენებენ, თანამშრომლების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თუმცა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც არ იყენებენ აღნიშნულ ტექნოლოგიას, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან. ამასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია დახურული სისტემებისთვის დისტანციური დაშვების უზრუნველყოფა.

არსებობს შემოსული ზარების დამუშავების რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც მომხმარებელთა მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ბანკები, ძირითადად, ზარების გადამისამართებისთვის ინტელექტუალურ ხმოვან მარშრუტიზაციას იყენებენ, რაც ოპერატორიდან ოპერატორზე გადართვის ალბათობას ამცირებს. თუმცა ასეთი მეთოდით, შესაძლოა, გაიზარდოს ლოდინის დრო, განსაკუთრებით მაშინ, როცა მომხმარებელი კონკრეტულ სპეციალისტთან

დაკავშირებას ცდილობს. Voice To Chat მეთოდი მომხმარებელს ოპერატორთან მობილური ჩატის რეჟიმში ასინქრონული დიალოგის გამართვის საშუალებას აძლევს, რაც ტელეფონზე ლოდინის საჭიროებას თავისთავად გამორიცხავს. ამ მეთოდით ბანკის საკონტაქტო ნომერზე დაკავშირებისას შესაძლებელი ხდება მომხმარებლის პირდაპირ ჩატში გადამისამართება. ასეთი მიდგომა სატელეფონო ზარებით და ჩატით მხარდაჭერას დააბალანსებს, რაც მომხმარებლისთვის ბევრად მოსახერხებელი იქნება. ტექსტური კომუნიკაციით მომხმარებლისთვის საჭირო დახმარების გაწევა ბევრად ეფექტიანია, რადგან ასეთ დროს ოპერატორს ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის დამუშავების საშუალება ეძლევა.

ამ მეთოდში არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩეთბოტების გამოყენება, რომლებიც სტანდარტული მოთხოვნების დამუშავებით მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლების დატვირთვას შეამცირებენ. ჩეთბოტს შეუძლია ისეთი მოთხოვნების დამუშავება, რომლებიც იპოთეკის ან სამომხმარებლო სესხის დაფარვას და სხვა, სტანდარტულ პროცედურებს უკავშირდება. ამ შესაძლებლობამდე ადამიანებს მსგავს საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად ბანკში სატელეფონო ზარის განხორციელება ან ფილიალში მისვლა უწევდათ. ერთ-ერთი ასეთი ჩეთბოტი დღეში დაახლოებით 350-მდე მოთხოვნას ამუშავებს და მომხმარებელთან მრავალფუნქციური ინტერაქციით გამოირჩევა.

ფინტექ ინდუსტრიის განვითარებისთვის 2019 წელს, ეროვნული ბანკის ინიციატივით შეიქმნა ჯგუფი, რომელიც საქართველოში ხელს შეუწყობს ღია ბანკინგისა და მთლიანად ფინტექის ბაზრის განვითარებას. ეს ჯგუფი ეცდება შეიმუშაოს ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფინტექ კომპანიების შექმნას და შესაბამისად ჯანსაღი კონკურენციის ზრდას.

მსოფლიოში წამყვანი ფინტექ კომპანიები ორიენტირებული არიან სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაზე. ასეთები არიან მაგალითად Adyen ნიდერლანდებში და Qudian ჩინეთში, რომლებიც სულ რაღაც 1 წუთში აფასებენ ბიზნესის კრედიტუნარიანობას და გასცემენ მათზე სესხებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ქვეყნებში საკმაოდ განვითარებულია ღია ბანკინგიც.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში ფინტექის როლი ჯერ-ჯერობით მკვეთრად არ არის გამოხატული ჩვენს ქვეყანაში, თუმცა ღია ბანკინგის სისტემის განვითარება ამის მკვეთრ პირობას ქმნის. BOG ფინტექი არის საქართველოს ბანკის ახალი სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ასევე ღია ბანკინგის (Open Banking) სტრატეგიის დანერგვის ფარგლებში შეიქმნა. ღია ბანკინგი (open banking) მსოფლიოს წამყვანი ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა მონაწილეთა ერთობლივი ინიციატივაა, რომლის მიზანია საბანკო მომსახურების პროცესში ახალი ტიპის ტექნოლოგიური კომპანიების, ე.წ. ფინტექ სტარტაპების ჩართვა და ამ გზით მომხმარებელთათვის მომსახურების მრავალფეროვანი არჩევანის შექმნა. საქართველოს ბანკი პირველია როგორც საქართველოში, ისე რეგიონში, ვინც ღია ბანკინგის საკუთარი პროგრამა წარადგინა. ღია ბანკინგის კონცეფციის დასანერგად საქართველოს ბანკი ქმნის ფინტექ პროგრამას, რომელიც მოიცავს: ფინტექ ქომუნითის განვითარება, API სერვისები, სტარტაპების მხარდაჭერა.

თიბისი ბანკიც აქტიურად მუშაობს Open API-ს მიმართულებით. მთელს მსოფლიოში ხდება ამ მიმართულების ზრდა და საბანკო სექტორის ჩაკეტილობის მიუხედავად ბანკში არსებობს გუნდი, რომელიც აქტიურად მუშაობს მხოლოდ ამ მიმართულების განვითარებაზე ბიზნესებისა და სტარტაპებისთვის და ქმნის ინოვაციურ მიდგომებს. ამით შესაძლებელი ხდება ბანკის შიგნით არსებულ სერვისებზე წვდომა ჰქონდეთ გარე კომპანიებს. პროექტებში ჩართული არის არა მხოლოდ ბანკის თანამშრომლები, არამედ ბიზნეს სუბიექტები, სტარტაპები რომელთაც აქვთ იდეები და სურთ ახალი პროდუქტის შექმნა. მაგალითად, თუ რომელიმე კომპანიას სურს რომ საკუთარ app-ში მომხმარებელს ანგარიშების ნახვა შეეძლოს, სწორედ ამისთვის ბანკი ქმნის უსაფრთხო სერვისს, რომლითაც კომპანიები საკუთარ app-ებში ჩააშენებენ ანგარიშების შესახებ ინფორმაციას. ბანკი ამჟამად აქტიურად მუშაობს Open API-ზე ეკოსისტემებისთვის My.ge/ Vendoo/ TBCPay/ TBC Capital და გარე დეველოპერებისთვის. ბუნებრივია, ეს მიმართულება საინტერესოა ბიზნეს კომპანიებისთვის, რომლებსაც საშუალება მიეცემათ მომხმარებელს შესთავაზონ ახალი პროდუქტი და გაზარდონ საკუთარი მოგება.

მომხმარებლის საჭიროების მაქსიმალურად სწორად შესაფასებლად თიბისი ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს Big Data-ს. ამით შესაძლებელია გარემოზე დაკვირვების შედეგად გარკვეული კანონზომიერებების დადგენა, ჭკვიანი სისტემების შექმნა, რომლებიც გადაწყვეტილებებს ადამიანების ნაცვლად მიიღებენ, პროცესი ავტომატური გახადოს. ამ მიმართულებით თიბისი ბანკში მუშაობენ მონაცემთა ინჟინრები, მონაცემთა მეცნიერები და ბიზნეს-მთარგმნელები. ბიზნეს-მთარგმნელები გარკვეული არიან ბიზნესის საჭიროებებში, იგი ცდილობს, რომ შექმნილი მოდელი მოარგოს ბიზნესის პრობლემას. ამ მეთოდით ბანკს საშუალება მიეცემა საკუთარ მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტებზე დაკვირვებით მიიღოს სწორი ინფორმაცია მათი საჭიროებების შესახებ და შემდგომში გადადგას ნაბიჯები მათ დასახმარებლად. მსოფლიოში Big Data ანალიზის როლი ამ მიმართულებით დიდია.

ფინტექის დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ნათელი მაგალითია ქუიქ ქეში (QuickCash), რომელიც წარმოადგენს პირველი ქართული ფინანსური ტექნოლოგიის (ფინტექ) პლატფორმას, რომელსაც შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობა 5 წუთში ონლაინ შეაფასოს (ტრადიციული 2-4 კვირის ნაცვლად). მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს ამ ფინანსურ შეფასებაზე (სქორინგზე) დაყრდნობით შესაძლებლობა აქვთ სწრაფად და მარტივად შეიტყონ თუ რა რაოდენობის თანხის სესხება შეუძლია, დაუმტკიცოს საკრედიტო ხაზის ზედა ზღვარი.

მიუხედავად ფინტექის არსებობის ამ მაგალითებისა, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დასაკრედიტებლად მისი გამოყენება არც ისე ხშირია. ამ ინდუსტრიის განვითარებისთვის საჭიროა მთავრობის მიერ ხელშეწყობაც და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაც.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ პანდემიის გავლენა დიდია მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტებზე და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. შესაბამისად მთავრობის მხრიდან შემუშავდა გარკვეული გეგმები, რაც უარყოფით მდგომარეობას გარკვეულწილად მაინც შეუმსუბუქებს კომპანიებს. ანალოგიური შედეგის მომტანი იყო ბანკების მხრიდან სესხის გადავადების პროგრამაც. პანდემიამ აჩვენა, რომ მაქსიმალურად საჭიროა ტექნოლოგიური შესაძლებლობების ათვისება, რათა

კომპანიებს სულ უფრო მარტივად შესძლებოდათ ფუნქციონირების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა.

მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების გამოსავლენად თიბისი ბანკი აქტიურად იყენებს Big Data ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ტენდენციები და დაავტომატიზირდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბანკში არსებობს გუნდი, რომელიც ღია ბანკინგს უწყობს ხელს, რაც ბიზნესებისთვის და სტარტაპებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში დიდი როლი აქვს „ქვიქ ქემ“ ფინანსური ტექნოლოგიის (ფინტექ) პლატფორმას, რომელიც 5 წუთში ონლაინ აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობას და ამ სექტორის წარმომადგენლებს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს სესხის აღების სირთულეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, მსოფლიოს მასშტაბით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ამ მხრივ საკმაოდ დიდია კომერციული ბანკების როლი, რომლებსაც საწარმოთა დაახლოებით 49% მიმართავს სახსრების მოპოვების მიზნით. თუმცა, მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ პრობლემულია მაღალი საპროცენტო განაკვეთის არსებობა, მსხვილი ბიზნეს სუბიექტების კონკურენცია, უარი სესხის დამტკიცებაზე და ა.შ. ამ მხრივ განსხვავებულია მდგომარეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, ჩეხეთში მცირე და საშუალო მეწარმეთა მოთხოვნილი სესხების 83% მტკიცდება, მაშინ როცა საბერძნეთში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 28%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსოფლიოს მასშტაბით მსხვილ საწარმოებს რამდენიმე კომერციულ ბანკთან (5-ზე მეტი) აქვთ აქტიური ურთიერთობა, მაშინ როცა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ეს ძალიან რთულია.

არსებობს ქვეყნები, სადაც ცდილობენ კანსაკუთრებულად შეუწყონ ხელი ბიზნესს. მაგალითად ირლანდიაში მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად ფუნქციონირებს მსოფლიო დონის ბიზნეს ჰაბები და აქსელერატორები ფინტექის, მედტექის, ბიოტექის, ICT-ის მიმართულებით. ისრაელში კი ყველაზე მეტი სტარტაპი ერთ სულ მოსახლეზე.

მსოფლიოს მასშტაბით, საკმაოდ გავრცელებულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება ფინანსური ტექნოლოგია - P2P lending-ის დახმარებით. რომლის წყალობითაც ვებსაიტზე მსესხებელი უკავშირდება უშუალოდ ინვესტორს, ფინანსური შუამავლის გარეშე, მათ აქვთ საშუალება მიიღონ თანხა იმაზე დაბალი პროცენტით, ვიდრე მათ ბანკი შესთავაზებდა. ეს კი ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა, მათ ონლაინ შეუძლიათ კრედიტის მიღება.

მსოფლიოს მასშტაბით წარმატებული ფინტექ კომპანიები მიზნად ისახავენ მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო თუ დაზღვევის მიმართულებით დახმარებას, იყენებენ ტექნოლოგიას ხარჯების შემცირების, პროცესების გამარტივებისთვის, იყენებენ ინტერნეტს, როგორც ვირტუალურ მაღაზიას. ფინტექის მიმართულებით ინვესტიციების რაოდენობა თანდათან იზრდება. თუმცა, მისი ცნობადობა ჯერ კიდევ

ასამაღლებელია. მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობის 96% თანხის გადარიცხვისა და გადახდების სერვისით სარგებლობს, 48% კი ფინანსური ტექნოლოგიების დაზღვევის სერვისის მომხმარებელია. შედეგები განსხვავებულია მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში, სადაც ფინტექის ცნობადობა და მისი ათვისების მაჩვენებელი 25%-ია. ყველაზე მცირე ცნობადობა კი სწორედ დაკრედიტის კუთხით შეინიშნება. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, სულ უფრო იზრდება ფინტექის ცნობადობა ყოველწლიურად.

უნდა აღინიშნოს, რომ იცვლება ფინტექის გამოყენების მთავარი მიზეზიც. 2017 წელს მომხმარებლისთვის ფინტექის მთავარი დადებითი მხარე ანგარიშის გახსნის სიმარტივე იყო (30%), მაგრამ 2019 წელს ეს მაჩვენებელი შეიცვალა და მომხმარებლისთვის მთავარი გახდა ფასებისა და საკომისიოების სიმცირე.

მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიებს ფინტექის დახმარებით შეუძლიათ, რომ უზრუნველყონ მრავალფეროვანი და განსხვავებული პროდუქტისა და მომსახურების მიწოდება დროის ნებისმიერ მონაკვეთში. გარდა ამისა, ფინტექი მათ მისცემს შესაძლებლობას შეამცირონ განაკვეთები და საკომისიოები, დანერგონ და მართონ ახალი სერვისები უფრო მარტივად. მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალოდ 56%-ზე მეტი იყენებს ბანკინგს და გადახდების ფინტექ სერვისს, სწორედ ეს კატეგორიაა ყველაზე გავრცელებული. შემდეგ მოდის ფინანსური მენეჯმენტი, დაფინანსება და ბოლოს დაზღვევა.

მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს მასშტაბით იზრდება ღია ბანკინგის როლიც, რაც ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებს შორის, შედეგად კი შესაძლებელია უკეთ შეფასდეს ამა თუ იმ მსესხებლის საკრედიტო ისტორია და გაკეთდეს შესაბამისი შეთავაზებები.

პანდემიის პირობებში სულ უფრო გაიზარდა ფინტექის როლი. ფინტექ ინდუსტრია ჯერ კიდევ ახალი დარგია, რომელიც ტრადიციული ფინანსური მომსახურებებისგან აღმოცენდა, თუმცა, მათგან განსხვავებით, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები ოსტატურად მოიხრგო და მომხმარებლებს ფინანსურ სახსრებზე წვდომა გაუმარტივა. ალგორითმებსა და მონაცემთა მეცნიერებაზე დაფუძნებულმა ბიზნესმა მომხმარებლებს მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭა და დაამსხვრია კონსერვატიული ფინანსური მიდგომები. გაორმაგდა მოთხოვნა P2P (peer 2 peer)

პლატფორმებზე. ყველა წამყვან P2P პლატფორმას მოუწია ადაპტირება ახალ რეალობასთან. ასეთი ტიპის პლატფორმების წარმატების ინდიკატორი, სწორედ ვადაგადაცილებული სესხების პროცენტის დაბალი ზღვარია (default rate). ასევე ქვეყნებმა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობისთვის სპეციალურად გამოყვეს თანხები.

პანდემიამ დააჩქარა მოთხოვნის ზრდა AI ხელოვნურ ინტელექტსა და და IoT ტიპის ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებზე. სულ უფრო მოიმატა ჩატ და ქოლ ცენტრის ბოტებზე საჭიროებამ, ანგარიშის გახსნისა და სესხის გაცემის ავტომატიზაციამ, რაც შეიძლება მინიმალური ადამიანური რესურსის ჩართვის ფაქტორით.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საჭიროება გააზრებულია საქართველოშიც. მათ მრავალი პრობლემა აქვთ, თუმცა უმთავრესი ფინანსური რესურსის მოპოვებას უკავშირდება. წინ გადადგმული ნაბიჯია ის, რომ ქვეყანაში 2018 წლიდან მცირე საწარმოთა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი ამოქმედდა. საქართველოში არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ორი ინსტიტუტი: მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლებიც უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობს და საწარმოებს რამდენიმე მიმართულებით ეხმარება.

საქართველოში მცირე და საშუალო კომპანიებისთვის ფინანსური რესურსის მოძიების ნიშნულთან წყაროა კომერციული ბანკებიც. თუმცა, პრობლემები ამ კუთხითაც არსებობს, რადგან მთლიან საკრედიტო პორტფელში ყველაზე ნაკლები წილი მცირე და საშუალო ბიზნესს უჭირავთ. თუმცა ბოლო ორი წელია ამ მიმართულებით დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა, მაჩვენებელი გაიზარდა. პრობლემურია ის საკითხიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს სესხებზე საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალია, ვიდრე კორპორატიული სეგმენტის სესხებზე.

სესხების გარდა კომერციული ბანკები მცირე და საშუალო მეწარმეებს განსაკუთრებულ პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობენ, შეღავათებს უწესებენ სესხის თანხაზე, პროცენტზე, სთავაზობენ მათთვის სასურველ, მოქნილ გრაფიკს.

რაც შეეხება ფინტექს, მისი ცნობადობა თანდათან საქართველოშიც იზრდება. მათი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია შუამავლის როლის შემცირებაც. ხშირად ბანკები და ფინტექ კომპანიები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ბანკები ცდილობენ საკუთარ საქმიანობაში გამოიყენონ ფინანსური ტექნოლოგიებიც, რაც ხარჯებს კიდევ უფრო შეუმცირებთ.

ჩვენთან მოსახლეობა აქტიურად იყენებს მობაილ ბანკინგის სერვისებს და დღესდღეობით ეს სიახლე უკვე სტანდარტულ მომსახურებად არის ქცეული. მათ ასევე აქვთ e-Wallet-ფუნქციაც, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას ბარათის გარეშე, პირდაპირ მობილურის მეშვეობით გადაიხადოს თანხა. ოპერაციები საგადასახდო ბარათებით - ტრანზაქციების რაოდენობა და გადახდების წარმოება ბარათების საშუალებით, საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ფინტექის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში ბარათით გადახდის ოპერაციების რაოდენობა ყოველწლიურად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა ფულის განაღდება სულ უფრო მცირდება. წინა წლებთან შედარებით იმატებს ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციების რიცხვიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს ფინანსური ტექნოლოგიის (ფინტექ) პლატფორმას, რომელსაც შეუძლია მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობა 5 წუთში ონლაინ შეაფასოს. რაც ძალიან ამარტივებს საწარმოთა სახსრებით უზრუნველყოფას.

საქართველოში იქმნება ისეთი ინოვაციური ფინტექ პროდუქტები, როგორცაა „კნიკი“, „თი-ბოტი“ და ა.შ. ანუ არსებობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მაგალითები. ასევე ფუნქციონირებს პირველი „ბანკი ფილიალების გარეშე“. ბანკები აქტიურად მუშაობენ გამოიყენონ Open API, რისი საშუალებითაც ფინანსურ ორგანიზაციებს ექნებათ სრული წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად, რაც უფრო გაამარტივებს სესხების გაცემას. BOG ფინტექი სწორედ რომელიც ღია ბანკინგის (Open Banking) სტრატეგიის დანერგვის

ფარგლებში შეიქმნა. ასევე თიბისი ბანკიც მუშაობს ამ მიმართულებით და ქმნის ისეთ სერვისებს, რომლებიც შემდგომში მნიშვნელოვნად დაეხმარება ბიზნესსა თუ სტარტაპებს შექმნან ახალი პროდუქტები. ფინტექის შესაძლებლობებს ბანკი იყენებს ინფორმაციის ანალიზისთვისაც. შექმნილია გუნდი, რომელიც ავითარებს Big Data-ს და ცდილობს მონაცემებზე დაკვირვებით დაავტომატიზიროს პროცესები.

თავის მხრივ, ფინტექს შეუძლია ფინანსების მოპოვება გაუმარტივოს მცირე და საშუალო ბიზნესს საწარმოებს. რაც იმაში გამოიხატება, რომ შესაძლებელია მათი კრედიტუნარიანობა ძალიან სწრაფად შეფასდეს და კრედიტიც დისტანციურად აიღონ. შესაბამისად ეს კიდევ ერთი მიზეზია, თუ რატომ უნდა შეეწყოს ხელი ფინტექებს. თუმცა საქართველოში არსებული მდგომარეობა მიუთითებს, რომ საქართველოში ფინტექის გამოვლინებები აშკარაა ღია ბანკინგის, ოპერაციების გაციფრულების, მონაცემთა ანალიზის კუთხით, მაგრამ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების კუთხით ეს ინდუსტრია ჯერ აქტიური არ არის.

ამისთვის არსებობდეს მეწარმეობის წამახალისებელი პროგრამები, რაც მეტ ადამიანს გაუჩენს სურვილს წამოიწყოს ახალი ბიზნეს საქმიანობა. საზოგადოებას უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია წარმატებული საწარმოების შესახებ, ამით კი მეტ ადამიანს გაუჩნდება სურვილი გახდეს მეწარმე.

საჭიროა ჩატარდეს ტრენინგები მცირე და საშუალო მეწარმეობის შესახებ. ბიზნესის მფლობელებს გაუწიონ კონსულტაცია, თუ რა უნარ-ჩვევებია საჭირო სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად და ბიზნეს საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში ინოვაციების გასაზრდელად საჭიროა კონკრეტული პროექტების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზარზე გაჩნდნენ ახალი ფინტექ კომპანიები. ეროვნული ბანკის ინიციატივით 2019 წელს შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ფინტექ ინდუსტრიის ზრდას შეუწყობს ხელს, თუმცა, ჯერ არ იკვეთება კონკრეტული ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების კუთხით.

სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას ფინანსებზე წვდომის გაზრდა წამოადგენს ბიზნესებისთვის და გამოყოფილია გარვეული მიმართულებები. ამ ჩამონათვალში ფინტექის ინდუსტრიის განვითარება დაკრედიტების კუთხით, ხელს

შეუწყობს როგორც ინდუსტრიის ზრდას, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ქვეყანაში უნდა გამოიყოს გრანტები ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით. საჭიროა ჩატარდეს მეტი კონკურსი მაღალტექნოლოგიურ სტარტაპებს შორის და გაიცეს შესაბამისი დაფინანსება. სწორედ ინოვაციების გაძლიერება არის ერთ-ერთი გამოსავალი პანდემიის უარყოფითი გავლენებისგან. განვითარებული ფინტექ ინდუსტრია მიიზიდავს მეტ ინვესტორს.

აუცილებელია მოსახლეობას აუმაღლდეს ცოდნა იმის შესახებ, თუ რა დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია ფინტექის სრულად ათვისებას. საჭიროა გაიმართოს მეტი კონფერენცია-ტრენინგი ამ კუთხით, სადაც ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე. ასევე უნდა დაორგანიზდეს ფორუმები, სადაც გამოვლინდება ინდუსტრიის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების შესაძლებლობებს გაზრდის კომერციული ბანკებისა და ფინტექ კომპანიების ურთიერთთანამშრომლობაც. ფინტექები განსაკუთრებით წარმატებული არიან იმ ქვეყნებში, სადაც კომერციული ბანკები მათ კონკურენტებად არ აღიქვამენ და ურთიერთობას ამყარებენ ღია API-ს საშუალებით. დადებით შედეგს მოიტანს სქართველოშიც თუ დამყარდება ეს კავშირი ბანკებსა და ქუიქ-ქეშს შორის. ამით კი ბიზნესის რისკიანობა კიდევ უფრო სრულყოფილად შეფასდება.

თავის მხრივ, დადებით შედეგს მოიტანს თუ კომერციული ბანკებიც კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მიაწოდებენ საკუთარ მომხმარებლებს ფინტექის დადებითი მხარეების შესახებ, რაც მის ათვისებას კიდევ უფრო გაზრდის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი, გ., და გიგაური, ლ. (2012). მეწარმეობის საფუძვლები. თბილისი.
2. კოვზანაძე, ი., და კონტრიძე, გ. (2014). თანამედროვე საბანკო საქმე-თეორია და პრაქტიკა. თბილისი.
3. აწარმოე საქართველოში. <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>
4. თიბისი ბანკი. <https://tbcbank.ge/web/ka>
5. ევროპის ცენტრალური ბანკი. <https://www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html>
6. ევროპის ცენტრალური ბანკი. (2018). კვლევა საწარმეობისათვის ფინანსების ხელისაწვდომობის შესახებ. <https://www.ecb.europa.eu/stats/accesstofinancesofenterprises/pdf/ecb.accesstofinancesmediumsizedenterprises201806.en.pdf?f39a5afa92e40c051dfb5dde764306ba>
7. ევროპის საბანკო ფედერაცია. <https://www.ebf.eu/wp-content/uploads/2018/09/Banking-in-Europe-2018-EBF-Facts-and-Figures.pdf>
8. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
9. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში. თბილისი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy_annual_report_2018_geo_.pdf
10. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2018). წლიური ანგარიში. თბილისი. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_report_2018_.pdf
11. საქართველოს ბანკის ფინტექ პლატფორმა. <https://fintech.ge/>
12. EY. (2018). მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება დიდ ბრიტანეთში. [https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-The-future-of-SME-banking/\\$FILE/EY-The-future-of-SME-banking.pdf](https://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-The-future-of-SME-banking/$FILE/EY-The-future-of-SME-banking.pdf)
13. Prakash, P. (2019). საუკეთესო ბანკები ბიზნესის დაფინანსებისთვის 2019 წელს. <https://www.fundera.com/blog/best-bank-for-small-business>
14. EY. (2019). ფინტექი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. https://www.ey.com/en_gl/banking-capital-markets/how-fintechs-are-a-world-of-choice-for-small-and-

[medium-sized-enterprises?fbclid=IwAR0OdcjWhd-5Hu9nDBMgPYZIfDCs8vj1tRHChYAEebCk3WvgKl1_Eh-mZDM](https://www.ersj.eu/dmdocuments/2017-xx-3-a-66.pdf)

15. Svetlana Saksonova. (2019). ფინტექი, როგორც ფინანსური ინოვაცია.

<https://www.ersj.eu/dmdocuments/2017-xx-3-a-66.pdf>

16. Matthew Wilde. (2019). 7 Fintechs that are transforming SME lending.

<https://www.provenir.com/blog/7-fintechs-that-are-transforming-sme-lending/>